www.24saati.ge
24 საათი
The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი 9 თებერვალი, 2009 წელი. №27 (2065)
ფასი 50 თეთრი

მკაფიო გზავნილები
A7



ბერლინალეს 59-ე კინოფესტივალი
A10



პირველი გამარჯვება
A13



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

# ევროპას უსაფრთხოების კონცეფციას აგრესორი კარნახობს

## დასავლეთის ქვეყნების ლიდერთა დამოკიდებულება რუსეთის მიმართ არაერთგვაროვანია

დიმიტრი ავალიანი

*მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის დასავლეთთან შერიგება ვერ შედგა. მათ შორის ურთიერთობების ნორმალიზებას, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაცია უშლის ხელს. რუსეთისთვის რაიმე "გავლენის სფეროს" დაკანონება აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა კატეგორიულად გამორიცხა, ისევე, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა. თბილისში მიიჩნევენ, რომ მოსკოვმა ამით "სერიოზული სიგნალი" მიიღო. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებში ბაზების მშენებლობა რუსეთსა და ნატო-ს შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი გახდა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



AFP' 2009

# Vivat Res Publica!

დავით აფრასიძე

მონარქიის აღდგენაზე როცა საუბრობენ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ ამაზე ადვილი ქვეყნად არაფერია. მთავარია, მუზეუმში გადანახული ტახტი გაამაგრო, მყარად რომ იდგეს და ზედ რომელიმე ბაგრატოვანი წამოასკუპო. ამის მერე, როგორც ჩვენში იტყვიან, იბერიაც გაბრწყინდება. ხუმრობა იქით იყოს და, მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, როგორ უნდა გახდეს საქართველო მონარქია - ხან ამბობენ, ის (მომავალი ტახტმპყრობელი) უკვე იშვაო, ხანაც რიტუალური ქორწინება ახლა უნდა შედგესო, მერე ის და მერე ესო. რაკი ის ვერ გავიგე, მონარქია როგორ უნდა აღდგეს, წამიერად ბედს შევეგუე, მივიჩნიე, რომ ეს უკვე მოხდა და დავფიქრდი, რა მოხდებოდა საქართველოს სამეფოში მეორე დღეს.

პოლიტიკის მეცნიერებას დიდი შედეგებისთვის ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ ერთი აქსიომა კი ჩამოაყალიბა - ნებისმიერი ინსტიტუტის შემოღებისათვის (ასევე გაუქმებისათვის) გაწეული ხარჯი, სულ მცირე, არ უნდა ჩამოუვარდებოდეს შედეგად მიღებულ სარგებელს. მონარქიის აღდგენა, იმედია, მასობრივი თვითმიზანი არ არის (გამოკლებით ერთი-ორი კაცისა, თავად მისი პოტენციური უდიდებულესობის ჩათვლით). როგორც მე ჩვენი პოლიტიკოსების ნაამბობიდან გავიგე, მონარქიის აღდგენამ საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები უნდა გადაჭრას. მოდით, ვნახოთ, რა პრობლემები აქვს დღეს საქართველოს მოსახლეობას და რამდენად შეცვლის ამ მხრივ რამეს ვინმეს თავზე გვირგვინის დადგმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ნალდაჭედილი რწყილების ქვეყანა

ალექსანდრ ბრაილოვსკი

*ეძღვნება ბაბუაჩემ მორის თეთრაძის ხსოვნას*

*[illegible]*
*ფ.ი. ტიუტჩევი*
*(მრავალი რუსის საყვარელი ციტატა)*

*[illegible]*
*ი. მ. გუბერმანი*
*(წინადადება საკითხისადმი რაციონალურ მიდგომაზე)*

მე უფრო გუბერმანს ვეთანხმები - როგორც ფორმით, ასევე არსით. რატომაც არ შეგვიძლია, რომ პოლიტკორექტულობა გვერდზე გადავდოთ და გულახდილად ვილაპარაკოთ, როგორც ფრანგები ამბობენ - კატას კატა ვუწოდოთ?

საქართველოში მომხდარმა ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთი არ შეცვლილა, რომ იგი კვლავინდებურად იმპერიად რჩება, რომელსაც ნადავლის ხელიდან გაშვება არ უნდა და იმ მოსაზრებებს, რამაც მე თავის დროზე ამ ქვეყნის დატოვება მაიძულა, ისევე როგორც მრავალ სხვა ადამიანს, აქტუალობა კვლავაც არ დაუკარგავს.

განზოგადება ყოველთვის საეჭვოა (რაც თავისთავად ასევე განზოგადებაა...). შესაძლოა იმისთვის, რომ რაღაც დიდ საკითხებში გავერკვეთ, ზოგადის გაგება კერძო შემთხვევების მეშვეობით უნდა ვცადოთ. საკუთარის მეშვეობით, ვინაიდან საკუთარი გამოცდილება უცხო გამოცდილებაზე უფრო ნაცნობია. მით უმეტეს, რომ ეს გამოცდილება უნიკალური სულაც არ არის.

როდესაც 1985 წელს გორბაჩოვმა "პერესტროიკა" იმით დაიწყო, რაზეც მთელი რუსული ინტელიგენცია ოცნებობდა - ნება დართო მასალების გამოქვეყნებაზე, რომლებშიც საბჭოთა ცხოვრების, წარსულისა და აწმყოს შესახებ სიმართლე იყო მოთხრობილი, იმედი გაჩნდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერების მიმართ აშშ-ს პოზიციას მიესალმება.

"აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა თავის განცხადებაში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის მიერ სამხედრო ბაზების მშენებლობის შესახებ შეშფოთება გამოხატა. რუსეთის ქმედებები მოსკოვსა და თბილისს შორის საფრანგეთის თავმჯდომარეობის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება," - აცხადებს ვაშაძის უწყება.

სამინისტროს განცხადებით, "აღნიშნულ მოქმედებას აშშ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სერიოზულ დარღვევად განიხილავს."

"შტატები რუსეთს მოუწოდებს, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ხელი შეუწყოს რეგიონში სტაბილურობის დამკვიდრებას, რაც მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ჟენევის პროცესში მონაწილეობის გზით უნდა იქნეს მიღწეული," - აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**პირველი**

## ინფორმაცია უგზო-უკვლოდ დაკარგულების შესახებ

რუსული მხარე ახლო მომავალში იმ 32 ქართველი სამხედრო მოსამსახურის სიას გამოაქვეყნებს, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. როგორც "იტარ-ტასი" იუწყება, ამის შესახებ ქართულ-რუსული საზოგადოებრივი კომისიის რუსული მხარის თანათავმჯდომარემ მაქსიმ შევჩენკომ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული სია ქართულმა მხარემ რუს კოლეგებს 6 თებერვალს მინსკში გამართულ შეხვედრაზე გადასცა. "რუსულმა მხარემ, ჩემი სახით, აიღო ვალდებულება, ჰუმანიტარული საკითხების გადასაწყვეტად სამხრეთოსურ მხარესთან მოლაპარაკებები აწარმოოს," - განაცხადა შევჩენკომ. მისი თქმით, რუსეთმა საქართველოს დაღუპულების, დაკარგულებისა და სამარხების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცა.

**ინტერპრესნიუსი**

## ეუთო-ს თავმჯდომარის ვიზიტი

12 თებერვალს თბილისს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი ეწვევა და საქართველოში ეუთო-ს მისიის შენარჩუნების თაობაზე წინადადებებს გააჰმიანებს. თბილისში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ დორა ბაკოიანისმა ქართულ ტელეკომპანიებს მიუნჰენში, უსაფრთხოების საკითხებზე მიმდინარე კონფერენციის მსვლელობისას განუცხადა.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელ იორგოს კუმუცაკოსის განმარტებით, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დორა ბაკოიანისი გაეცნობა ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მას ასევე ექნება შესაძლებლობა, წარმოადგინოს საბერძნეთის თავმჯდომარეობის წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეგიონში ორგანიზაციის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსი ოკუპანტების მორიგი დანაშაული

რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში სოფელ ბარღების მკვიდრი ზურაბ ბოხუა დაჭრეს.

როგორც ირკვევა, ბოხუა ბარღებიდან სოფელ ნაბაკევში რუსული საგუშაგოს გვერდის ავლით გადადიოდა. თუმცა, ის ოკუპანტებმა შეამჩნიეს და გასროლა მოხდა.

გასროლის შედეგად ბოხუა კისრის არეში დაიჭრა. ის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ზუგდიდის რაიონში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთდა. ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**ინტერპრესნიუსი**

# ბაგრატიონების ჯვრისწერა

გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ბაგრატიონთა გვარის მე-8 თაობის წარმომადგენელთა ჯვრისწერა აღსრულდა. ჯვარი დაიწერეს ესპანეთში მცხოვრებმა ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელმა დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკიმ. ჯვრისწერაში რამდენიმე მღვდელმთავარი მონაწილეობდა.

პატარძლის, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მეჯვარე იყო ცნობილი ქართველი

მომღერალი ლიზა ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონ-მუხრანელის კი - მიხეილ ახვლედიანი.

სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს ჯვარი მეუფე თეოდორემ და მეუფე გერასიმემ, ასევე მამა ილია ნასიძემ და მამა დემეტრემ დასწერეს.

საზეიმო ჯვრისწერას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წარმომადგენლები თითქმის სრული შემადგენლობით ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელსა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ჯვრისწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წერილით მიულოცა.

სამების საკათედრო ტაძრის წინამძღოლის მამა ილიას განცხადებით, ესპანეთის მეფემ დავით ბაგრატიონს ჯვრისწერის გამო სიყვარულით სავსე წერილი გამოუგზავნა.

ჯვრისწერის ცერემონიაზე დასასწრებად თბილისში 100-მდე უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა, მათ შორის - ესპანეთიდან, იაპონიიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ამასთან, მამა ილიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებაში ვრცელდება არასწორი ინფორმაციები მონარქიის აღდგენის შესახებ.

"დღეისათვის მონარქიის თემა არ დგას. პატრიარქის კურთხევით, შეიქმნება მონარქის ფონდი, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით გადარიცხავენ თანხებს და სახელმწიფოს მონარქის შენახვა არ მოუწევს," - განმარტა მამა ილიამ.

გუშინდელ ჯვრისწერას ქართულ პოლიტიკურ წრეებშიც გამოეხმაურნენ. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" იმედოვნებს, რომ ქართული სამეფო ოჯახის ორი დიდი შტოს გაერთიანება საქართველოს ერთიანობის წინაპირობა გახდება.

"უპირველეს ყოვლისა, მინდა, დაგიდასტუროთ ჩემი უდიდესი მოწიწება თქვენი, როგორც საქართველოს სამეფო ოჯახის მიმართ და მოგილოცოთ ეს უმნიშვნელოვანესი დღე - ერთი მხრივ, წმინდა ოჯახური და მეორე მხრივ, საუკუნის ქორწინება. მთელი გულით ვუერთდები თქვენს სიხარულს. ქართული სამეფო ოჯახის ორი დიდი შტოს, ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა გაერთიანება, უფლის ნებითა და შემწეობით, აუცილებლად გახდება საქართველოს ერთიანობის წინაპირობა," - ნათქვამია "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავას მიერ ბაგრატიონებისადმი გაგზავნილ მილოცვაში.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ევროპას უსაფრთხოების კონცეფციას აგრესორი კარნახობს

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს გუშინ მიუნხენში, უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში შეხვდა.

"**ჩვენ გვაქვს ურყევი, სერიოზული, ძალიან დეტალური მხარდაჭერა აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის მხრიდან,**" - განაცხადა შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, მან ჯოზეფ ბაიდენისგან ფინანსური დახმარების გაგრძელების "**მტკიცე გარანტიები**" მიიღო. ასევე, მისი თქმით, "**რუსეთთან აშშ-ს ყველა სახის მოლაპარაკებებზე საქართველოს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.**" სააკაშვილის შეფასებით, "**სწორედ ეს არის გადამწყვეტი საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ სამხედრო არეულობები და გართულებები.**"

უსაფრთხოების საკითხებზე 45-ე საერთაშორისო კონფერენცია მიუნხენში გუშინ დასრულდა. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, მასში მონაწილეობა მიიღეს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ და სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.

სააკაშვილი-ბაიდენის შეხვედრას წინ უძღოდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა, რაც ობამას ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთგვარი პრეზენტაცია გახდა. რუსეთთან ურთიერთობებზე საუბრისას ჯოზეფ ბაიდენმა ამ ურთიერთობების სუფთა ფურცლიდან დაწყებას და ერთგვარ "გადატვირთვას" დაუჭირა მხარი, თუმცა იქვე ყურადღება გაამახვილა იმ პრინციპებზე, რომლებსაც აშშ არასდროს გადაუხვევს.

**"ჩვენ ვერ დავეთანხმებით რუსეთს ყველა საკითხში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. არ ვაღიარებთ გავლენის სფეროებს. უნდა გვახსოვდეს, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, გააკეთონ არჩევანი და აირჩიონ მათთვის სასურველი ალიანსი,"** - განაცხადა ბაიდენმა.

როგორც მიუნხეში ყოფნისას მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, დასავლეთს რუსეთი იმ პირობით სთავაზობს თანამშრომლობას, რომ მას დაუტოვონ "ლუკმა" ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის სფეროს სახით. "**მაგრამ დღეს ამერიკის პოზიცია სრულიად ერთმნიშვნელოვანია - ეს მიუღებელია. ევროპის და ნატო-ს პოზიციაც ერთმნიშვნელოვანია - არასდროს მოხდება კომპრომისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში არავინ დააბრუნებს,**" - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ჯოზეფ ბაიდენის გამოსვლას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც გამოეხმაურა. **"თავის გამოსვლაში ჯოზეფ ბაიდენმა კვლავ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების უცვლელი პოზიცია სეპარატისტული რეჟიმების მიმართ,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **"მიგვაჩნია, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის სიტყვები არის მკაფიო გზავნილი იმ სახელმწიფოთა მისამართით, რომლებიც თავიანთ საგარეო პოლიტიკაში აღიარებენ მხოლოდ ძალის პრიმატს, არაფრად აგდებენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, აზროვნებენ და ხელმძღვანელობენ ნეოიმპერიალისტური კატეგორიებით,"** - აღნიშნავს საგარეო უწყება.

მიუნხენში საქართველოს პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა შეხვდა ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერს, ასევე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ჰავიერ სოლანას. როგორც შეხვედრის შემდეგ სოლანამ განმარტა, საუბრის ძირითადი თემა საქართველოში არსებული სიტუაცია, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის ქმედებები და ევროდამკვირებლების მისია იყო. **"რუსული სამხედრო ბაზების შექმნაზე ჩვენ საკუთარი პოზიცია უკვე ოფიციალურად დავაფიქსირეთ. ეს არასწორი გადაწყვეტილებაა,"** - განმარტა ევროსაბჭოს ხელმძღვანელმა.

მიხეილ სააკაშვილი ასევე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დევიდ მილიბენდს შეხვდა. მილიბენდის განცხადებით, სააკაშვილთან შეხვედრა ნაყოფიერი იყო. "**ვისაუბრეთ ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში საქართველოსთვის დახმარების გაგრძელებაზე. შეხვედრისას შევაჯერეთ ჩვენი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს,"** - განაცხადა დევიდ მილიბენდმა.

**"ლონდონი თბილისის მხარდაჭერას განაგრძობს და რუსული სამხედრო ინტერვენციის შედეგების აღმოსაფხვრელად დახმარებას მომავალშიც გააგრძელებს,"** - დასძინა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რეგიონში არსებულ ვითარებასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობის შეჩერების აუცილებლობაზე, ასევე საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრებს დასავლელ ლიდერებთან წინ უძღოდა ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერის მოლაპარაკება რუსეთის ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვთან, რომელიც საკმაოდ მძიმე გამოდგა. როგორც ორსაათიანი შეხვედრის დამთავრების შემდეგ ალიანსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ აღნიშნა, "**ჩვენ მოვახდინეთ იმ ფაქტის კონსტატირება, რომ ჩვენ შორის ერთიანობა არ არსებობს.**" კერძოდ, მისი თქმით, ალიანსსსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენა დამოკიდებული იქნება მოსკოვის დამოკიდებულებაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, - ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა რუსეთის ვიცე-პრემიერს პირდაპირ განუცხადა. შეხვედრაზე "**შედგა** აზრთა **ღიად გაცვლა-გამოცვლა საქართველოში არსებული სიტუაციისა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ყოფნის შესახებ,**" - აღნიშნა აპატურაიმ.

იმავდროულად, მიუნხენში დასავლეთ ევროპის ლიდერების მხრიდან რუსეთის მიმართ შემრიგებლური განცხადებებიც გაისმა. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღნიშნა, ის არ ფიქრობს, რომ რუსეთი შეიძლება, ნატო-ს ან ევროკავშირს საფრთხეს უქმნიდეს. "**ამიტომაც ჩვენ ურთიერთნდობა უნდა აღვადგინოთ,**" - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ფორუმზე დაფიქსირდა დასავლელი ლიდერების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ახალი რუსული ინიციატივის მიმართ "ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის" შესახებ. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჰავიერ სოლანამ აღნიშნა, რომ რუსეთის წინადადებები "**ეფუძნება იდეებს, რომლებსაც სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ**" და რუსული ინიციატივა ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებებს შეადარა.

"**ჩვენს ინტერესებშია, ჩავრთოთ რუსეთი უსაფრთხოების მომავალ არქიტექტურაში,**" - განაცხადა, თავის მხრივ, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ **"უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატო-ს წევრები. არც ერთ მესამე ქვეყანას არა აქვს ამ პროცესში ჩარევის უფლება."**

თავის მხრივ, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ევროპის უსაფრთხოების "**ახალი არქიტექტურის**" შესახებ რუსული წინადადებები მკაცრად გააკრიტიკა. "**მე ვერ ვხედავ სერიოზული დისკუსიის დაწყების შესაძლებლობას უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის გარშემო, რომლის მთავარი ელემენტი, პრეზიდენტ მედვედევის თქმით, ტერიტორიული მთლიანობაა, სანამ რუსეთი სამხედრო ბაზებს აშენებს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც ეს არ სურს,**" - განაცხადა სხეფერმა. მისი თქმით, "**ასეთი რამ არ შეიძლება ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის საფუძველი გახდეს.**"

თავის მხრივ, რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა გუშინ აშშ-ს ვიცე პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ბაზების შექმნის გადწყვეტილებას არ გადახედავს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

ნოდარ ლადარია




ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



დღეს დროებით გვერდზე უნდა გადავდო "ომბუდსმენური" ფუნქციები და დისკუსიაში ჩავება, როგორც ერთი მონაწილეთაგანი. ჯერ-ჯერობით ეს უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა, რადგან დისკუსია ჯერ არ დაწყებულა და მე მსურს მის დასაწყისად ვაქციო სტატია, რომელიც **გიგა ზედანიამ** გამოაქვეყნა "24 საათის" 3 თებერვლის ნომერში.

სტატიის სათაურია *ქართველი ინტელექტუალის შიზოფრენია*. დავიწყოთ მისი შინაარსის მოკლე გადმოცემით.

მაშ ასე: 1990-იანი წლების შუახანს საქართველოში მოაღწია სიტყვამ "პოსტმოდერნი" და ინტელექტუალები მოხიბლა; ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან პერიფერიული ქვეყნები ყოველთვის უფრო რეცეფციისთვის არიან განწყობილნი, ვიდრე შემოქმედებისთვის; პოსტმოდერნი წარსულის დეკონსტრუქციას, მარტივად რომ ვთქვათ, შემოქმედებით დაშლას გულისხმობს, ამიტომ საქართველოში ამ მიმართულებით გატაცება მხოლოდ წამხედურობის საფუძველი თუ იქნება, რადგან დეკონსტრუქციის ობიექტი არ არსებობს; ერთადერთი, რაც ჩვენ გამოგვიყვანს შიზოფრენიის მდგომარეობიდან, ცრურწმენების დაძლევაა XVIII საუკუნის განმანათლებლობის მსგავს რაციონალიზმზე დაყრდნობით.

ახლა კი ერთი საკვანძო ციტირება სტატიიდან. გიგა ზედანია გვეუბნება, რომ დღევანდელობა ქართველი ინტელექტუალისაგან მოითხოვს **"გამბედაობასა და რაციონალური აზროვნების უნარს, მაგრამ სხვას არაფერს. არანაირი ორიგინალობა, არანაირი შემოქმედებითი წვა, მეტიც, არანაირი იმიტაცია მოდური კულტურული მიმდინარეობებისა და თეორიული სკოლებისა — ქართულ საზოგადოებაში ამაზე მოთხოვნა არ არსებობს**". ერთი შეხედვით, სასტიკი მოთხოვნაა. მაგრამ თუ მიუკერძოებლობას შევინარჩუნებთ, ისიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მოდერნიდან პოსტმოდერნამდე ჩვენი ინტელექტუალური ევოლუციის ერთადერთი ხილული ნიშანი არსებობს: ადრე ვამბობდით: "კალიცობეჭედი"; ახლა კი ვამბობთ: "არტ-ხელოვნება". ამიტომ მეც საქმით გამოვხატავ ჩემს თანხმობას და ორიგინალური ტექსტის შექმნის მაგიერ, უკვე დაწერილის განმარტებას მივყოფ ხელს.

ამით, სხვათა შორის, საუკუნოვან ტრადიციაშიც ჩავეწერები და გიგა ზედანიას **კიმენურ** (თავდაპირველ მოკლე) ვერსიას გვერდით ამოვუყენებ ჩემს **მეტაფრასტულ** (განვრცობილ) ტექსტს.

გიგა ზედანია პირველი არ არის. მანამდე, გასული საუკუნის 20-იან წლებში, მსგავსი ხმა ჩვენმა ინტელექტუალებმა რუს პოეტ **ოსიპ მანდელშტამისაგან** გაიგონეს: დაანებეთ თავი ფრანგი სიმბოლისტების მიბაძვას, თქვენი სახე თქვენივე ხასიათსა და აღმოსავლური ხალიჩის ორნამენტში უნდა ეძებოთ! საინტერესოა, რომ თუ ამ აზრს რუსულად ვთარგმნით და რუსულ გარემოს მივუსადაგებთ, მანდელშტამი სლავოფილი აღმოჩნდება... ახლავე განვმარტავ.

გიგა ზედანიასაც მოჰყავს რუსეთის მაგალითები: ფრანგმა მოაზროვნემ ვოლტერმა განაცხადა, რომ საჭიროა დავძლიოთ ცრურწმენები, რათა სინამდვილეს უფრო ღრმად ჩავწვდეთ და ახალი სინამდვილე შევქმნათ. ვოლტერით აღფრთოვანებული **კარამზინიცა** და **პუშკინიც** ცრურწმენათა დაძლევას უგალობენ, მაგრამ არა იმისათვის, რომ რაიმე შეიქმნას, არამედ იმისათვის, რომ რუსეთი ევროპას დაუახლოვდეს. დაახლოვება ასე თუ ისე მართლაც განხორციელდა და რუსეთმა გარკვეული წვლილიც კი შეიტანა ევროპულ კულტურაში. მაგრამ ისიც ვიკითხოთ: რა შედეგი მოუტანა ამან თვით რუსეთის საზოგადოებას და იმას, რასაც ასე ამაყად იხსენიებენ "რუს ხალხად"? — საბოლოო ჯამში მივიღეთ ვლადიმერ ნაბოკოვის მიერ დახატული სურათი: "რუსი ხალხი" საკუთარ დიდ ლიტერატურას ისევე უყურებს, როგორც ყინვასა და ქარბუქში გარეთ მდგომი გლეხები შესცქერიან ბატონის სასახლის განათებულ ფანჯრებს. გაიხსენეთ ყბადაღებული მითი ორი რუსეთის შესახებ: ამ სურათს ცნობილი უფსკრული უძევს საფუძვლად — უფსკრული დაწნულ ქალამნებში მოსიარულე და ფრანგულად მოლაპარაკე სოციალურ კლასს შორის.

სხვა მაგალითი თუ გნებავთ, ტანზანიის პრეზიდენტი **ჯულიუს ნიერერე** უსაყვედურებდა დასავლეთს: თქვენ ოქსფორდისა და ჰარვარდის სტიპენდიებით გვამარაგებთ, მაგრამ ეს მხოლოდ ზრდის ჩვენ შორის უბედურთა რიცხვს, რადგან განათლების მიღების შემდეგ დაბრუნებულნი ცხოვრებაში ადგილს ვერ პოულობენო.

მართალია, საქართველოში სხვანაირადაა — აქ საკმარისია რაიმე ტრეინინგის სერტიფიკატი გედოს ჯიბეში, რომ თავი ქუდში გაქვს — საქმეს ეს მაინც ვერ შველის, რადგან აქ საზოგადოებაში ინტეგრირება იმდენად ღრმაა, რომ მშობლიური ჭაობი უკვალოდ აქრობს დასავლური ცოდნის ნაპერწკლებს. ერთი სიტყვით, ორად გახლეჩა და ხიდჩატეხილობა ნამდვილად არ გვემუქრება, თუმცა სიხარული ნაადრევია.

ამგვარი ვითარების მიზეზი მარტივია: რუსეთში ეკონომიკური ბერკეტები განათლებულთა ხელში იყო (მათ მიეკუთვნებოდნენ უწყალო ცენზორებიცა და თავისუფლების მდევნელნიც), ტანზანიაში კი მატერიალურ სახსრებს ტომთა ბელადები თუ სხვა კორუმპირებული უვიცები ანაწილებდნენ. საქართველოში როგორღაა? — ხუმრობად ნუ ჩამითვლით და ისევეა, როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში.

რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ დღეს საქართველოში, ერთი მხრივ, აკადემიური, თუ მეინსტრიმული, თუ უბრალოდ გონიერი ინტელექტუალები, მეორე მხრივ კი ათასი ჯურის მარგინალი — გნებავთ ჩეგევარიანელ-პოლპოტელი, გნებავთ ხრიდოლ-ჩოხოსან-ბაგრატოვანი — არსებითად ერთნაირი სასტარტო პირობებით სარგებლობენ. არა, მცირე განსხვავებები მაინც არის, მაგრამ ნუ დავიწყებთ ახლა კამათს იმაზე, საიდანაა უფრო ძნელი ფულის შოვნა, ავტორიტეტული საერთაშორისო ფონდიდან, თუ რუსული უშიშროებიდან, რომელიმე სამონასტრო "პოდვორიეს" გავლით. მთავარი ისაა, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს არავითარი პოლიტიკური ტენდენცია, რომელიც იმთავითვე განსხვავებულ პირობებში ამყოფებდა "განმანათლებლებსა" და "ობსკურანტებს".

სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ვერანაირად ვერ დავადგენთ, ვინაა უფრო ბეჩავი: ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ უფროსი "გრეჩიხა" დაამხობს **მიხეილ სააკაშვილს**, თუ ის, ვისაც ასევე გულუბრყვილოდ მიაჩნია, რომ **ნინო შუბლაძე** თუ **ინგა გრიგოლია** მართლაც წარმოადგენენ უმცროსი "გრეჩიხას" სატელევიზიო მოსაგრეობის ალტერნატივას.

ვითარება პარადოქსულია: გამოდის, რომ ინტელექტუალურად განუვითარებელ საზოგადოებაში დემოკრატიზაციის მაღალი დონე არის დესტრუქციული ფაქტორი — აქ დემოკრატიის მიერ შექმნილი შესაძლებლობებით ისინიც სარგებლობენ, ვინც ისტორიას მანამდე უნდა მოესპო ან დაესუსტებინა. ჩვენი მდგომარეობა ლამის სრულად შეესაბამება ერთი ამერიკული ფილმიდან აღებულ დეფინიციას: "**ტერორისტები არიან ბიჭები წარსულიდან, რომლებიც თანამედროვე საშუალებებს იყენებენ**".

ზემოთ მოყვანილი დასკვნა მხოლოდ გარკვეულ მიახლოებაში შეიძლება ჩაითვალოს კორექტულად, მაგრამ ამ მიახლოების ფარგლებიდან ჩვენ არ გამოვალთ. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მოცემულ პირობებში ორი პოზიციის დაკავება შეგვიძლია. პირველი მათგანი უფრო ჩვეულია ქართული საზოგადოებისათვის: დავიწყოთ წუწუნი და მოთქმა, რომ "ჭკვიანებს" მოგვეცეს განსაკუთრებული დაფინანსება ბიუჯეტიდან.

მაგრამ გიგა ზედანია უფრო რთულ გზას დაადგა: იგი ქართველებს ინტელექტუალური თავგანწირვისკენ მოუწოდებს: "**საჭიროა უცხო კულტურული მიმდინარეობის არა გადმოღება, არამედ ათვისება**". ამ თვალსაზრისით, უფრო თანმიმდევრულნი ვიქნებოდით, თუ, მაგალითად, დოქტორანტებს უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში სამი სტატიის გამოქვეყნებას კი არ მოვთხოვდით, არამედ რომელიმე კარგი წიგნის ქართულად თარგმნას. ჯერ ერთი, ეს ინტელექტუალური თავგანწირვისათვის საჭირო შინაგან დისციპლინას განავითარებდა (როგორც დოქტორანტში, ასევე ხელმძღვანელში, რომელიც თარგმანის რედაქტირებას გასწევდა და ხარისხზე აგებდა პასუხს), მეორეც, ბევრად უფრო წაადგებოდა საზოგადოების არსებით საჭიროებას.

ამაზე მიანიშნებს ჩვენი ავტორიც, როცა ამბობს: "**ესაა სწორედ ვითარება, რომელიც შიზოფრენიას იწვევს ქართველ ინტელექტუალში — დასავლეთში არსებული კულტურული ცენტრიდან მისკენ სხვა მოთხოვნები მოდის, ხოლო საზოგადოების შიგნიდან — სხვა. გარედან — პოსტმოდერნის გამოწვევები, ხოლო შიგნიდან — ჩამორჩენილობის გადალახვა მოდერნიზაციის საშუალებით**".

კიდევ ერთი მოწოდება ის არის, რომ ჩვენში გაბატონებული ეკლექტიკა დიალექტიკად იქცეს — სხვა სიტყვებით, რეალობის ცუდად შეხამებული და ქაოსურად განაწილებული ელემენტები იმ შემოქმედებით დაპირისპირებაში შევიდნენ ერთმანეთთან, რომლიდანაც რაღაც ღირებული შეიძლება წარმოიშვას. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი ვითარების ადეკვატური აღქმაა.

საილუსტრაციოდ, მოვიყვანოთ 5 თებერვალს გამოქვეყნებული სტატია *პოლიტიკური ჯეობარი, ანუ "წინასწარ გამოცხადებული გადატრიალების ქრონიკა"*, რომელშიც ავტორი, **მაია ორჯონიკიძე** გულმხურვალედ ილაშქრებს "მაესტროს" ერთი გადაცემის წინააღმდეგ. აქ ვკითხულობთ: "**ამას ამბობდა არა ვინმე უკულტურო ბოგანო, არამედ ცნობილი ადამიანი, ასაკოვანი და ღვაწლმოსილი მსახიობი**".

ნუ მომთხოვთ კონტექსტს — ეს არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ ავტორის აღშფოთება კანონიერია. გაუგებარია მისი გაკვირვება. საკვირველი კი მართლაც არაფერია: საიდან გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს საქართველოში "უკულტურო ბოგანო" და "ცნობილი ადამიანი" აპრიორულად ურთიერთგამომრიცხავი რეალობებია და ერთ პიროვნებას არ შეიძლება შეესაბამებოდეს?

ბოლოსდაბოლოს, საგანთა და მოვლენათა ნამდვილი ფასი უნდა გავიგოთ. ამისათვის კი ძველი ფასები უნდა მოვშალოთ, მაგრამ ასეთი მტკივნეული გადაფასებისას პირდაპირი ტექსტით ლაპარაკი არ ივარგებს: მხოლოდ გაზრდის წინააღმდეგობას და კვლავ არაცივილური კამათის ჩვეულ დამყაყებულ გარემოში დაგვაბრუნებს.

აუცილებელია ერთი რამ: უნდა დაიწყოს ნამდვილი და აქტიური დისკუსია საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა დონესა და სფეროში, რომელსაც დროთა განმავლობაში გამოეთიშებიან ისინი, ვინც ვერ გაქაჩავს. ეს დისკუსია, რა თქმა უნდა, წერილობითი უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს ტემპერამენტის სხვადასხვაობა, ხმის სიძლიერე და ათასი ჯურის სპეცეფექტი, რომელიც ზეპირ სატელევიზიო დებატებს თან სდევს.

როდესაც გიგა ზედანია ინტელექტუალებზე ლაპარაკობს, ერთი შეხედვით, თითქოს ცხადია, ვის გულისხმობს, მაგრამ ოდნავი დაფიქრების შემდეგ სიცხადე ქრება. ინტელექტუალის სახელს ბევრი ნისიად ირგებს, ბევრსაც, ასე ვთქვათ, წარსული ღვაწლისათვის აქვს მინიჭებული. დაბეჭდილი სიტყვა გამოარჩევს მათგან იფქლსა და ღვარძლს.

შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რამდენად კორექტულია გიგა ზედანიას სტატიაში მაინცდამაინც XVIII საუკუნის განმანათლებლობაზე მითითება, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საბოლოო ჯამში ქართველი ინტელექტუალები მაინც დაჭამენ ერთმანეთს და არაფერი გამოუვათ. მაგრამ ეს ყველაფერი უქმი და უსარგებლო ლაყბობა იქნება. ბოლოსდაბოლოს, განმანათლებლობა გიგამ კულტურული ეკვივალენტის თვალსაზრისით ახსენა და არა როგორც რაღაც პირდაპირ გადმოსაღები. რაც შეეხება შესაჭმელს, ის ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიჭამოს, თორემ კარგა ხანია ყარს და ფუჭდება. საბოლოოდ მე კიდევ ერთხელ უნდა ვუღალატო ჩემს ჩვევებს და დღევანდელი პუბლიკაცია რაღაც გონებრივი ტრიუკით კი არა, მოკრძალებული წინადადებით დავასრულო.

იქნებ "24 საათმა" ყურად იღოს შემდეგი ინიციატივა: რეგულარულად გავუგზავნოთ ხოლმე ჩვენს "ცნობილ სახეებს" თხოვნა, წერილობით გამოეხმაურონ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხს. გავუგზავნოთ ერთი და იგივე თემა ორ ან სამ სხვადასხვა ადამიანს. დეტალები, რა თქმა უნდა, მოსაფიქრებელია, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა დაიწყოს ინტელექტუალთა ნამდვილი კონკურენცია, როცა ვერავინ ამოეფარება სატელევიზიო კადრს ქვემოთ დაწერილ სიტყვას: "ექსპერტი", "მწერალი", "კონფლიქტოლოგი"...

### დავით ბაქრაძე ქუთაისში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ქუთაისში იმყოფებოდა.

იგი გელათის სამონასტრო კომპლექსში წირვას დაესწრო, რომელიც კეთილმორწმუნე მეფის სულის მოსახსენიებლად ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტმა, მეუფე კალისტრატემ აღავლინა.

დავით ბაქრაძის განცხადებით, ეს თარიღი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.

□ამ სირთულეების ფონზე, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა, ეს დღესასწაული განსაკუთრებით ღირებული და სიმბოლურია. ვისურვებდი, რომ დიდი დავითის მადლი თითოეულ ქართველის ოჯახსა და ჩვენს ქვეყანას ფარავდეს," - აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

**მედიანიუსი**

### □ქრისტიან-დემოკრატებმა□ დაარსების დღე აღნიშნეს

□ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ერთი წლის იუბილეზე, რომელიც სასტუმრო □ქორთიარდ მარიოტში" აღინიშნა, საპატიო სტუმრებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მიღება გაიმართა. მოეწყო სტუდენტთა დაჯილდოების ცერემონიალი, რომლის დროსაც ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჯაბა მესხიშვილს, მარიამ ბეჟიტაშვილს და ოქროპირ ჯიქურს □ქრისტიან-დემოკრატების" მიერ დაწესებული გაბრიელ ქიქოძის სახელობის სტიპენდია გადაეცათ. აგრეთვე დაჯილდოვდნენ □ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრები რაიონული ორგანიზაციების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ღონისძიებაზე გაიმართა მოძრაობის ერთი წლის საქმიანობის ამსახველი ფილმის პრეზენტაციაც.

ღონისძიებას გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანიაც დაესწრო. მან □ქრისტიან-დემოკრატებს□წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ პატივს სცემს □ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" და მასთან მოძრაობასთან კონსულაციებს გააგრძელებს.

მან დანარჩენ ოპოზიციასთან თანამშრომლობაზეც გააკეთა კომენტარი. □ვაპირებ თანამშრომლობას ყველა პოლიტიკურ ძალასთან, თუმცა ჯერ კონსულტაციები მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მაქვს მიღებული," - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

**მედიანიუსი**

### ევროსაბჭოს კომისარს კოდორის ხეობაში შეუშვებენ

ევროსაბჭოს ადამიანი უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამარბერგი დღეს აფხაზეთს ესტუმრება. ის მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშს, საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასა და ადამიანის უფლებების დამცველ გეორგ ოტირბას შეხვდება.

კომისარი 10 თებერვალს კოდორის ხეობაში ჩავა, რომელსაც აგვისტოს მოვლენებამდე საქართველო აკონტროლებდა და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობა. 11 თებერვალს კი თომას ჰამარბერგი გალის რაიონს ეწვევა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### კრემლის გეგმები საქართველოსა და უკრაინის მიმართ

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძის განცხადებით, კრემლმა უკრაინასა და საქართველოში ხელისუფლებების შეცვლის გეგმის განხორციელება დაიწყო და ამ მიზნების მიღწევას ივლისამდე შეეცდება.

"უკრაინის რეგიონების პარტიის ხელმძღვანელმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ იგი გამოდის ყველა სხვა პროცესიდან და იწყებს მოქმედებას არსებული პოლიტიკური რეალობის შესაცვლელად და ქვეყანაში რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მისაღწევად," - განაცხადა თარგამაძემ შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე,

□არსებობს კრემლისგან მოთხოვნილი ვადა, როდესაც პროცესი უნდა დამთავრდეს. ეს არის არაუგვიანეს ივლისის თვის დასაწყისისა, ჩათვალეთ, რომ იგივე ვადები და იგივე მოთხოვნები ვრცელდება საქართველოზეც," აღნიშნა გივი თარგამაძემ.

**მედიანიუსი**

# Vivat Res Publica!

პირველი გვერდიდან

### კონფლიქტები, სამუშაო, რუსეთი და მეფე?

ჩემი მოსაზრება არ გეგონოთ, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ტრადიციული გამოკითხვებით, საქართველოს მოსახლეობა უკვე რამდენი წელია მთავარ პრობლემებად უმუშევრობას, ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთთან ურთიერთობას ასახელებს. რამდენად შეძლებს ამ პრობლემების მოგვარებას მონარქი და მონარქია?

მოდით, ტერიტორიული მთლიანობით და რუსეთით დავიწყოთ. ისტორიული ფაქტია, რომ ბაგრატიონები ქართველთა, აფხაზთა, ოსთა და კიდევ ბევრი ხალხის მეფენი იყვნენ. თუმცა, ეს ფეოდალური ერთობა იყო, რომელიც არც თანამედროვე ნაციებს იცნობდა და არც ნაციონალიზმს, რომელმაც მხოლოდ მე-19 და მე-20 საუკუნის განმავლობაში ჩამოაყალიბა თანამედროვე ქართველის, აფხაზისა და ოსის იდენტობა. ამ ერთობამაც მხოლოდ მე-16 საუკუნემდე იარსება. ამდენად, სრული გულუბრყვილობაა იმის იმედი გვქონდეს, რომ ბაგრატოვანის ტახტზე ასვლა აფხაზებს ან ოსებს გულს აუჩუყებს. მეტიც, მათ შეიძლება დამატებითი არგუმენტი მიიღონ, რათა მსოფლიოს განუცხადონ, რომ ქართველები მომავალს კი არა, წარსულს მისჩერებიან და საბოლოოდ შეიშალნენ ჭკუიდან (გაიხსენეთ, როგორ გამოიყენეს აფხაზებმა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რომელიც ჩვენ მნიშვნელოვან აქტად შევრაცხეთ, სინამდვილეში კი ამ კონსტიტუციას არც 1921 და არც 1992 წელს უმუშავია). გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ორივე კონფლიქტში მთავარი მოქმედი პირი მოსკოვია. კრემლის პოლიტიკაზე კი საქართველოს სამეფოს გაჩენა გავლენას რომ ვერ იქონიებს, ქართველი როიალისტებიც დამეთანხმებიან. ამდენად, მონარქიის აღდგენა ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ მაშინ წაადგება, თუ ტახტზე ბაგრატიონების ნაცვლად ბაგაფშების ან კოკოითების (სოსლანების გვარი, როგორც მე ვიცი, აღარ არსებობს) დინასტიას ავიყვანთ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

ახლა ეკონომიკის ჯერია. მონარქიის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ სამეფო კარის შენახვა ძვირი ჯდება. მომხრეები კი პასუხობენ, არც პრეზიდენტის ინსტიტუტია იაფიო. ეს კამათი, მგონი, არ არის არსებითი, მაგრამ მაინც, მონარქიის შემთხვევაში სახელმწიფოს კმაყოფაზე მეფის გარდა პრემიერიც იქნება, რომელიც პრეზიდენტის ძალიან ბევრ ფუნქციას აიღებს საკუთარ თავზე. დაუკვირდით, ნატო-ს სამიტზე მეფე გაემგზავრება თუ პრემიერ-მინისტრი? როგორც ვთქვი, ეს არსებითი საკითხი არ არის. მნიშვნელოვანია, როგორ მოახერხებს მონარქი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, საფინანსო კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის რეფორმირებას? მხოლოდ იმით, რომ ეროვნულ ბანკს სამეფო ბანკი ეწოდება, ხოლო ეკონომიკისა და განვითარების მინისტრი მისი უდიდებულესობის მინისტრი გახდება? თუ უცხოური ინვესტიციები გაიზრდება იმ მოტივით, რომ საქართველო სამეფო გახდა და ჩვენი ინვეესტიციების გარანტი ამიერიდან თავად მისი უდიდებულესობააო?

მომხრეები ამბობენ, რომ ყველა ამ პრობლემის მოგვარებას მონარქიის შემოღება არა პირდაპირ, არამედ ირიბად - სტაბილური პოლიტიკური სისტემის შექმნით შეუწყობს ხელს. სხვა, ჩვენთვის უფრო ნაცნობი სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე ქართველებს გააერთიანებს და ერის სიმბოლოდ იქცევა. სამწუხარო აღიარებაა, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობას სახელმწიფო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად სულ მცირე 2 საუკუნის წინ ისტორიას მიბარებული ინსტიტუტი სჭირდება. რატომ არის ეს სამწუხარო, ახლავე გეტყვით, მანამდე კი დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ამგვარ "სტაბილურობას" უზრუნველყოფს მონარქი. მონარქიის შემოღება არ ნიშნავს პოლიტიკის (პოლიტიკური პროცესის) გაქრობას. ანუ, პოლიტიკური პარტიები, არჩევნები, პარლამენტი, თოქშოუები, მიტინგები და ა.შ. არსად წავა. მეფის არსებობა თავისთავად არც მედიის პრობლემებს მოაგვარებს და არც სასამართლოს დამოუკიდებლობას. უახლეს ისტორიას ახსოვს ქვეყნები, სადაც მონარქი წინ ვერ (ან არ!) აღუდგა ავტორიტარიზმს - მაგალითად დუჩეს იტალია გაიხსენეთ, სადაც მეფეც იყო და ფაშიზმიც.

ისე, წარმოიდგინეთ ვითარება, როცა მეფის სასახლესთან ოპოზიციის ხალხმრავალი დემონსტრაცია მიმდინარეობს. მისი უდიდებულესობის ოპოზიცია არჩევნების გაყალბებას აპროტესტებს და მეფისგან "უზურპატორი პრემიერის" გადაყენებას ითხოვს. რა ქნას მეფემ, კანონს დაემორჩილოს თუ სატელევიზიო სმს-ებს, რომელსაც იგი, ალბათ, დიდი ინტერესით უყურებს, აბა სხვა რა საქმე აქვს? 2001 წელს ბულგარეთში დიდი ზარზეიმით მიიღეს ყოფილი მონარქი სიმეონ II (მეფობდა 1943-1946 წწ.) და პრემიერ-მინისტრის პოსტიც ჩააბარეს. კარგი ქნეს ბულგარელებმა, რომ მონარქად არ აკურთხეს იგი, რადგან სულ რაღაც ხუთი წლის თავზე სიმეონის პოპულარობა საპნის ბუშტივით გაქრა. ესეც თქვენი ერთიანობის სიმბოლო.

### მეფე, მამა და დემოკრატია?

მონარქიის თემამ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოაჩინა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მეფის სურვილი დემოკრატიული პოლიტიკური ღირებულებების ნაკლებობაზე მიუთითებს. ზემოთ უკვე ნახსენებ გამოკითხვებში (2007 წელს) საქართველოს მოსახლეობის 73 პროცენტი ამბობს, რომ სურს პრაგმატული, რაციონალური და პროგრამული ხედვის მქონე ლიდერი (და არა ქარიზმატული), თუმცა იმავე გამოკითხვაში 69 პროცენტი ამბობს, რომ სტალინი დიდი პიროვნება იყო და საბჭოთა კავშირის მოდერნიზაცია მოახდინა. შესაბამისად, ისინი, ალბათ, ქარიზმატული ავტორიტარის მიერ განხორციელებულ განვითარებაზეც არ იტყოდნენ უარს.

მეფის სურვილი ახალი ლიდერის, ახალი მამის სურვილია, რომელიც ყველა სატკივარს გადაგვიჭრის. აქ ორმაგი სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე. ერთი, ამ განცხადებით ჩვენ უარს ვამბობთ თავისუფლებაზე და პასუხისმგებლობაზე, თავად გადავჭრათ პრობლემები ანუ ვთანხმდებით ავტორიტარიზმს. მეორეც, ჩვენ გადაჭარბებულ მოლოდინს (უკვე მერამდენედ) ვუკავშირებთ "სხვას" და ამით, წინასწარ ვუმზადებთ თავს იმედგაცრუების ახალ ტალღას (შეადარე სიმეონი და ბულგარელები). როცა პოლიტიკოსები მონარქიას უჭერენ მხარს, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ისინი მონარქში არა მხოლოდ ახალ ლიდერს, არამედ საკუთარი არშემდგარი ლიდერობის განხორციელებას ხედავენ. გაიხსენეთ მუდმივი მსჯელობა "ლიდერის" მნიშვნელობაზე - ოპოზიცია ლიდერს ეძებს, ხელისუფლებაც, მედიაც და საზოგადოებაც ამ "ლიდერს" ელის, ყველა სხვადასხვა მიზეზითა და განწყობით...

მონარქიის მომხრე არ ვარ და არც ის მაშინებს, რომ ეს იდეა საქართველოში განხორციელდება. ამის თქმის საფუძველს ორი რამ მაძლევს. ერთი ის, რომ მონარქი (როგორც ამბობენ) ჯერაც არ დაბადებულა, ანუ ამ იდეის ხორცშესხმას რამდენიმე წელი მაინც უნდა დასჭირდეს. იმ დრომდე, რესპუბლიკის ბორბალიც დაიწყებს უკეთესად ტრიალს, ანუ როგორც ჩვენში იტყვიან, იბერია გაბრწყინდება და თუ მაინც არა, მერე უკვე სულ ერთია, აბსოლუტური მონარქიაც შეიძლება ვცადოთ. ჩემი იმედის მეორე მიზეზი უფრო მნიშვნელოვანია - ზემოხსენებული გამოკითხვის მიხედვით, 2007 წელს საქართველოს მოსახლეობის 67 პროცენტს არ მიაჩნდა მონარქიის აღდგენა საზოგადო საქმედ. ორ წელიწადში ამ ხალხს, აბა, რა შეცვლიდა, ჰოდა გაუმარჯოს res publica-ს!

*რეპლიკა*

# მცირე განმარტება ერთი ტირადის გამო

**დავით პაიჭაძე**

7-დან 8 თებერვლის ღამეს, ტელეკომპანია მაესტროს ეთერში ბ-ნი მამუკა კაციტაძე ეწვია **გია გაჩეჩილაძეს - საკანი 5**-ის ნებაყოფლობით პატიმარს. ?დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას? დიდი სახელების გარდა ბ-ნმა კაციტაძემ იქ ყოფნის დროს ახსენა ჩემი სახელიც: თითქოს მე, დათო პაიჭაძემ, ბ-ნი მამუკას თანაპარტიელთან, ქ-ნ მანანა ნაჭყებიასთან საუბრისას 8 თებერვალს ბაგრატიონთა ქორწინება კურდღლების გამრავლებას შევადარე.

ამა წლის 5 თებერვალს ქ-ნი მანანა ნაჭყებია სტუმრობდა საზოგადოებრივ რადიოს პროგრამა "პიკის საათს", რომელსაც მე ვუძღვები. რესპონდენტს, ვითარცა ახალი მემარჯვენეების წევრს, დავუსვი შეკითხვა საქართველოში მონარქიის იდეის მხარდაჭერაზე და დავინტერესდი, მათი პოლიტიკური პარტნიორი რესპუბლიკელებიც თუ იზიარებენ ამ მიდგომას. □პიკის საათი□ინტერაქტიური გადაცემაა, მსმენელები რეკავენ და თავიანთ კითხვებს, წუხილებს, თვალსაზრისებს გვიზიარებენ. კორექტულობის ფარგლებში დაშვებულია ყველაფრის ლაპარაკი, რადგან საზოგადოებრივ რადიოს ტოკშოუში თვალსაზრისთა და ინტერესთა მრავალფეროვნება უნდა აისახოს. დარეკა ერთმა მსმენელმა გორიდან. თქვა, რომ რესპუბლიკელთა მხარდამჭერია და ძალიან კრიტიკულად გამოეხმაურა მონარქიის აღდგენის იდეას. სიტყვები "**ადამიანებს კურდღლებივით რომ ამრავლებენ**" სწორედ ამ კონტექსტში წარმოითქვა და **ისინი ეკუთვნოდა მსმენელს**. მე მსმენელებს არც ვეთანხმები და არც ვეკამათები. მიმაჩნია, რომ ეს ჟურნალისტის საქმე არ არის. შეიძლება ვუპასუხო და შეკითხვა დავუსვა აზრის ან ინფორმაციის დასაზუსტებლად. ხსენებულ მსმენელს კი ყოველგვარი საპასუხო რეპლიკის გარეშე დავემშვიდობეთ. არსებობს პროგრამის ჩანაწერი, არსებობს არაერთი მოწმე, არსებობს ბოლოს და ბოლოს, მსმენელი, ვინც ეს თქვა და მტკიცებულების დადება პრობლემას არ წარმოადგენს.

იგრძენით განსხვავება სინამდვილესა და მის მამუკა კაციტაძისეულ "ინტეპრეტაციას" შორის? შეგეცვალათ წარმოდგენა მამუკა კაციტაძეზე? თუ, უბრალოდ, გაგიმდიდრდათ ის? მე მაქვს კრიტიკული აზრი მონარქიის შესაძლებლობაზე საქართველოში, ბაგრატიონთა ქორწინების გაპიარებაზეც და მონარქიის, როგორც სახელმწიფო მოწყობის იდეასთან არაგულწრფელად მოწაწლე პოლიტიკოსებზე. მაგრამ ჩემი ეს თვალსაზრისები არ მიშლის ხელს, ვუსურვო ბედნიერება ახალდაქორწინებულებს და სიამოვნებით შევნიშნო ბ-ნ მამუკა კაციტაძეს, რომ ის ტყუოდა. ნუ დაირცხვენთ. ნურც ბოდიშს მოიხდით. საჭირო არ არის.

# ნალდაქედილი რწყილების ქვეყანა

პირველი გვერდიდან

იმედი იმისა, რომ ახლა, როდესაც სიმართლეს იტყვიან და მოისმენენ, საბჭოთა პროპაგანდით მოტყუებული ხალხი მიხვდება, თუ რატომ ცხოვრობდა ცუდად და უკეთესად ცხოვრებას დაიწყებს. „იცხოვრეთ არა სიცრუით“ - როგორც სოლჟენიცინი მოგვიწოდებდა.

**საქართველოში მომხდარმა ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთი არ შეცვლილა, რომ იგი კვლავინდებურად იმპერიად რჩება, რომელსაც ნადავლის ხელიდან გაშვება არ უნდა და იმ მოსაზრებებს, რამაც მე თავის დროზე ამ ქვეყნის დატოვება მაიძულა, ისევე როგორც მრავალ სხვა ადამიანს, აქტუალობა კვლავაც არ დაუკარგავს.**

ახლა, თითქმის საუკუნის მეოთხედის შემდეგ ვხვდები, რამდენად გულუბრყვილო იყო ასეთი წარმოდგენები. თუმცა, ეს გაცილებით ადრე გახდა ცხადი.

მაშინ, 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ინტელიგენცია „ნოვი მირსა“ და „ოგონიოკს“ კითხულობდა და ფიქრობდა, რომ ამ ჟურნალებს მთელი ქვეყანა კითხულობს და ტკბება თავისუფლებითა და საჯაროობით. თუმცა, ამავე ჟურნალებში გამოქვეყნებული ზოგიერთი მკითხველის წერილი იმაზე მეტყველებდა, რომ ყველას სულაც არ უხარია. ერთხელაც, მოსკოვის ერთ-ერთ სამზარეულოში, სამყაროს ბედზე მორიგი საუბრის დროს, ჩემი გულუბრყვილობით გაღიზიანებულმა მეგობარმა მითხრა: „ბოლოს და ბოლოს, გაიგე: ვინ კითხულობს შენს „ოგონიოკს“? ტირაჟი რამხელაა - მილიონი, ორი მილიონი? თუნდაც, ყველა მათგანმა კიდევ ორ მეგობარს წააკითხოს. რა გამოდის, ექვსი მილიონი? იცი, ქვეყანაში რამდენი ცხოვრობს? სამასი მილიონი! წარმოიდგინე უზარმაზარი ქვაბი, რომელიც წყლითაა სავსე და ზედაპირზე ზეთის პატარა ფენა ადევს. ეს ფენა „ოგონიოკის“ მკითხველებია, სავსე ქვაბი - დანარჩენები. ახლა გაიგე?!“

მე გავიგე და მალე ქვეყანა დავტოვე კიდეც.

ცხადი გახდა, რომ საჯაროობამ ხალხს თვალი კი არ აუხილა, არამედ ხალხმა ისედაც ყველაფერი იცოდა და, რაც ყველაზე უარესია, მას ეს ყველაფერი ხელს აძლევდა. ოღონდ მანამდე ამ ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ის საუკეთესოა, ყველაზე ჭკვიანი, კეთილი, შრომისმოყვარე და სამართლიანი, რომ ის ყველას აჭმევს და იცავს. და ამ ხალხმაც დაადასტურა ზოგიერთი ფილოსოფოსის გამონათქვამები საკუთარი „ქალური“ ბუნების შესახებ: მას, როგორც ქალს, ყურებით უყვარდა და აღმერთებდა ყველას, ვინც მას ამ ყველაფერს ეუბნებოდა. ეს ქალურობა მაზოხიზმით შეზავებული აღმოჩნდა: მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რუს ხალხს ყველაზე მეტად ის მმართველები უყვარდა, რომლებიც მას ყველაზე უხეშად და სასტიკად ექცეოდნენ - ივანე მრისხანე („მრისხანე“ და არა „საზარელი“, როგორც ამ მეფეს ევროპელები უწოდებენ, ასე უფრო პატივისცემით ჟღერს), პეტრე პირველი და იოსებ სტალინი. ხოლო მათ, ვინც სხვაგვარად მოქცევას ცდილობდა, არაფრად აგდებდა და თუ არ კლავდა, როგორც ალექსანდრე მეორეს (რომელმაც, სხვათა შორის, ბატონყმობა გააუქმა და სერიოზული და აუცილებელი რეფორმები წამოიწყო), სძულდა, ეზიზღებოდა და აძევებდა მათ, როგორც მოუვიდა გორბაჩოვს, რომელმაც ქვეყანას ადამიანურად ცხოვრება შესთავაზა (აქედან რა გამოვიდა, სხვა საქმეა, მაგრამ წინადადება სერიოზული იყო).

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა - რუსეთის სამხედრო შეტევამ საქართველოზე თითქოსდა სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვის მიზნით, კვლავ დააყენა ძველი კითხვები იმის შესახებ, რას წარმოადგენს რუსეთი და რა მოაქვს პლანეტისთვის. ეს რომ ძალიან მაღალფარდოვნად არ ჟღერდეს, საკითხი სხვაგვარად დავსვათ: რატომ ცდილობდნენ ყველა დროში არცთუ ცუდი ადამიანები ამ ქვეყნიდან გაქცევას, როგორც კი ამის საშუალება გაჩნდებოდა, ხოლო ისინი, ვისაც ეს არ უნდოდა ან ვერ ახერხებდა, ცუდად ცხოვრობდნენ, იტანჯებოდნენ და მათ არცთუ იშვიათად აწამებდნენ და კლავდნენ? არსებითად, კითხვის მეორე ნაწილი შეიცავს პასუხს პირველზე. ამაზე დაფიქრდები, როდესაც სენ-ჟერმენ-დე-ბუას სასაფლაოზე გახვალ. ასეთი სასაფლაოები ხომ არ არსებობს, ვთქვათ, საფრანგეთს გარეთ, სადაც მასობრივად ფრანგები არიან დასაფლავე-

**რუსი ხალხის ყველა უბედურება მხოლოდ თავად რუსი ხალხის ბრალია და არა სხვისი.**

ბულნი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, წამებისა და მოკვლის შიშით სამშობლო დაეტოვებინათ“ ან ინგლისელები, იტალიელები, ამერიკელები. არა, მათაც დაუტოვებიათ თავიანთი ქვეყნები და იქ სახლდებოდნენ, სადაც უფრო მოსწონდათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ შინ ცხოვრება გაუსაძლისი იყო - ალბათ მხოლოდ გერმანელების გარდა ნაციზმის პერიოდში, მაგრამ ეს ხომ ამდენ ხანს არ გაგრძელებულა და მრავალი მათგანი, ვინც ჰიტლერს და მის დამქაშებს გამოექცა, სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნდა.

თუმცა რატომ ცალკეული პირები ან თუნდაც მრავალი ადამიანი! რუსეთისგან გაქცევაზე ოცნებობდნენ მთელი ხალხები, სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ (რომელსაც 1922 წლიდან საბჭოთა კავშირი ეწოდა) და მათ, ვისაც ეს გამოუვიდა, რუსეთი დღემდე არ ასვენებს.

დავაზუსტებ: აზრადაც არ მომდის თავის მართლება. მიმაჩნია, რომ რუსეთიდან უცხო ქვეყანაში წასვლა მხოლოდ რუსულ ენაზე მიბმული ჰუმანიტარული პროფესიით, იმის სრული შეგრძნებით, რომ ცხოვრების დაწყება თავიდან, შესაძლოა ნულოვანზე დაბალი დონიდან მომიწევს - ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო. ვიცოდი, ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ რუსეთში დარჩენა აღარ მინდოდა, რადგან იმ დროისთვის უკვე ნათელი იყო: ის, რასაც ვერ ვეგუებოდი რუსეთში, მის ხალხში, აზროვნებისა და ცხოვრების წესში, არა ამ ხალხის და ქვეყნის ცალკეულ ნაკლოვანებებს, არამედ ქვეყნის და ხალხის არსს წარმოადგენს. გავაცნობიერე რა, რომ ვერ შევცვლიდი ხალხს, გადავწყვიტე, ქვეყანა გამომეცვალა.

დიახაც, საუბარია სწორედ ხალხზე, რადგან ქვეყანა სწორედ ხალხია. არ ხდება ისე, რომ თუ ქვეყანაში ცხოვრება მოწყობილია, ხალხი ამ დროს ზარმაცი, ბოროტი და გაიძვერა იყოს. არც ისე ხდება, რომ ჭკვიანი, შრომისმოყვარე, კეთილი და სამართლიანი ხალხი ცხოვრობდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც ყოფა მძიმე, ბინძური და აუტანელია.

მართლაც, რამ შეუშალა ხელი რუსეთს, რომ თავისთან ადამიანური ცხოვრების წესი დაემკვიდრებინა? მაგრამ“ რას ნიშნავს ადამიანური? მაგალითად, ხალხი რომ პატიოსნად მუშაობდეს და პატიოსანმა შრომამ უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრება, რომ ტყუილი, მექრთამეობა და ქურდობა არ იყოს ქვეყანაში არსებობის ძირითადი ფორმა, რომ ადამიანებმა ერთმანეთს ტყუილუბრალოდ არ აგინონ და თანამოქალაქეების მიმართ სიძულვილი და აგდებული დამოკიდებულება ყველანაირად არ გამოხატონ, რომ არ ისმებოდეს კითხვა: ვინ უფრო საშიშია - დამნაშავეები თუ მილიცია?

მართლაც, რამ შეუშალა ხელი - სივრცემ?.. კლიმატმა?.. მაგრამ სივრცეც და კლიმატიც ისეთ ქვეყანაში, როგორიც კანადაა, რუსულს სავსებით შეესაბამება. მაგრამ, როგორც კანადაზე ალექსანდრ გოროდნიცკი მღეროდა, - „რუსეთს კი ჰგავს, მაგრამ რუსეთი არ არის.“

ბუნებრივი რესურსების არარსებობა? რაზეა საუბარი“ რუსეთში ყველაფერია. ევროპა რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის მეასედზეც კი ვერ იოცნებებს. ამ მხრივ რუსეთში ყველაფერი რიგზეა.

მაშინ ალბათ არა - „რა?“ არამედ - „ვინ?“ ვინ უშლის ხელს რუსებს ნორმალურად და ღირსეულად ცხოვრებაში? ვინ შეიძლება იყოს ეს - ებრაელები, კავკასიელები ან რუსულ ლექსიკაში დიდი ხნის დამკვიდრებული „კავკასიური ეროვნების პირები“? ყველანი ერთად მაინც მცირე რაოდენობაა იმისთვის, რომ ცხოვრება მოუწამლონ 140-მილიონიან რუს ხალხს. და თუ ამას მაინც ახერხებენ, რუსი ხალხი მაინც არ იმსახურებს პატივისცემას, თუ საშუალებას აძლევს ერთ მუჭა გარეწრებს, ცხოვრება ასეთ დონეზე მოუწამლონ. და რაში სჭირდებათ ამ „ნაცმენებს“ ცხოვრების მოწამლვა იმ ქვეყანაში, სადაც თავად ცხოვრობენ?.. იქნებ, ვიღაც უცხოელი ავისმქმნელები არიან დამნაშავეები? ეს მათაც არ სჭირდებათ. ყველა დაინტერესებულია იმით, რომ რუსეთი მშვიდობიანი, აყვავებული ქვეყანა იყოს, რომელთანაც შესაძლებელი იქნება მომგებიანი ვაჭრობა. ესე იგი, ისინიც არაფერ შუაში არიან.

გამოდის, რუსი ხალხის ყველა უბედურება მხოლოდ თავად რუსი ხალხის ბრალია და არა სხვისი.

იქნებ, კომუნისტებმა ისე დაამახინჯეს ამ უბედური ხალხის აზროვნებისა და ცხოვრების წესი, რომ ისინი დღემდე აზრზე ვერ მოვიდნენ? ვშიშობ, ასე არ არის. ნებისმიერმა მცოდნე ისტორიკოსმა იცის, რომ შეუძლებელია, გარეწრების ბანდამ ძალაუფლება 70 წლით ჩაიგდოს ხელში, თუ ხალხს ანუ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ეს ხელს არ აძლევს. კომუნისტებმა ასე დიდხანს იმიტომ მართეს რუსეთი, რომ მათი რეჟიმი რუსი ხალხის სწრაფვას შეესაბამებოდა - რადგან მინიმალური თავისუფლება მინიმალურ პასუხისმგებლობას ნიშნავს. ჯობია, შენს ნაცვლად ყველაფერი სხვამ გადაწყვიტოს. არც ეს პოზიცია მატებს ამ ხალხს პატივისცემას.

მაგრამ, შეიძლება კი გავაიგივოთ საბჭოთა ხელისუფლება რუს ხალხთან? შეიძლება. იმიტომ რომ, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ წარმოშობით ამ ხელისუფლების სულისჩამდგმელები, ეს რეჟიმი მხოლოდ რუსეთში დამკვიდრდა - თუ, რა თქმა უნდა, არ ვისაუბრებთ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ჩინეთი, კუბა და ჩრდილოეთ კორეა.

კარგით, მაგრამ რა ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებამდე - 1917 წლამდე? მახსოვს ტირილი თემაზე: „რა რუსეთი დავკარგეთ“. ანუ, რევოლუციამდე რა კარგი ცხოვრება იყო, მოვიდნენ ბოლშევიკები და, როგორც პორუჩიკი რჟევსკი ანეკდოტიდან, ყველაფერი წაბილწეს. ამასთან, კეთდებოდა მინიშნებები, რომ ბოლშევიკებს შორის რუსი თითო-ოროლა თუ იქნებოდა. შესაძლოა. დამნაშავეებად, როგორც ყოველთვის, ებრაელები გამოცხადდნენ. ისინი მართლაც ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციაში - მაგრამ, რატომღაც, სწორედ რუსეთში და არა ამერიკაში ან ევროპის ქვეყნებში. ალბათ იმიტომ, რომ ამერიკასა და ევროპაში მე-20 საუკუნეში აღარ აწყობდნენ ებრაელთა დარბევებს, არ არსებობდა ბინადრობის ზღვარი ან საპროცენტო ნორმა. მაშინდელ ებრაელებსაც გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ პრობლემას უსამართლო სახელმწიფო წყობილება ქმნის და არა იმ ქვეყნის ხალხი, სადაც მათ ამცირებდნენ და ავიწროებდნენ. თანაც, ზოგიერთი მათგანი კლასიკურ რუსულ ლიტერატურაზე იყო აღზრდილი და სწამდათ მითის რუსი ხალხის თანდაყოლილი ზნეობის, სიკეთის და სხვა განსაკუთრებული სულიერი თვისებების შესახებ, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ხალხი ასე მოხერხებულად მალავს - როგორც ჩანს, უსამართლოდ მოწყობილი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან რეპრესიების შიშით.

ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კარგადაა, რევოლუციები არ ხდება. იგივე კლასიკური რუსული ლიტერატურით თუ ვიმსჯელებთ, ქურდობა, მექრთამეობა, სიზარმაცე, ლოთობა, უზრდელობა და გარშემო მყოფთა მიმართ აგდებული დამოკიდებულება ამ ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა.

დიახ, მესმის, რომ მთელი ხალხის ასე ძაგება ცუდია. ნებისმიერ ხალხში არიან განსხვავებული ადამიანები - კარგები და ცუდები, კეთილები და ბოროტები, ზრდილობიანები და უზრდელები, შრომისმოყვარეები და ზარმაცები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველი ხალხის ცხოვრების წესი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ადამიანები დომინირებენ. მაგალითად, ევროპელებისთვის ზრდილობა ნორმაა, ხოლო უზრდელობა და უხეშობა - გამონაკლისი. რუსებისთვის?.. თანაც, ნებისმიერ დონეზე და ყოველთვის. როდესაც იმპერატორი ნიკოლოზ პირველი პუშკინს ესაუბრებოდა, იგი მას „შენობით“ მიმართავდა, ხოლო როდესაც ფრანგულზე გადადიოდა - „თქვენობით“. თანაც, ივანე მრისხანის დროს მეფე ყმას „შენობით“ მიმართავდა, ისევე როგორც ყმა - მეფეს. ნიკოლოზ-პუშკინის დროს სიტუაცია სხვაგვარი იყო: პუშკინი მეფეს „შენობით“ ვერ მიმართავდა. საფრანგეთში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ლუდოვიკო მეთოთხმეტემ გამოთქვა აზრი, რომ არ შეიძლება შეურაცხყო ადამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით შენზე დაბლა იმყოფება, ვინაიდან იგი პასუხს ვერ მოგთხოვთ. ამ მეფეს, ფრანგული აბსოლუტიზმის სიმბოლოს, არც ერთი ქვეშევრდომისთვის „შენობით“ არ მიუმართავს. მაგრამ - ეს საფრანგეთია.

ამიტომაც, როდესაც ხალხზე და მისი ცხოვრების წესზე ვსაუბრობთ, ჩვენ უფლება გვაქვს, ვისაუბროთ გაბატონებულ ტენდენციებზე, რომლებიც ამ ცხოვრებას განსაზღვრავენ. მართალია, ყველა გერმანელი ფაშისტი და ნაცისტი არ ყოფილა, მაგრამ ჰიტლერი ხმათა უმრავლესობით აირჩიეს და იქ ხმების დათვლაში რაიმე გაყალბება ან თაღლითობა, მგონი, არ ყოფილა. ეს კი ნიშნავს, რომ გერმანელი ხალხი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც ამ არჩევნების შედეგად მოხდა. თავისი პასუხისმგებლობა გერმანელებმა აღიარეს.

აღიარა რუსმა ხალხმა პასუხისმგებლობა საერთოდ რამეზე? არა. დამნაშავეები ყოველთვის სხვები იყვნენ. კრილოვის ფრაზა რომ გადავაკეთოთ, [illegible]. მეტიც, რუსები გულწრფელად არიან დარწმუნებულნი (მათ ამას დიდი ხნის განმავლობაში შთააგონებენ და ეს მოსწონთ), რომ ისინი ყოველთვის ყველას მხსნელებად, დამცველებად ევლინებოდნენ, ყველას აპურებდნენ, ყველასთვის სინათლე და სითბო მოჰქონდათ. და საერთოდ, მათ წინაშე ყველა ვალშია. მაგრამ, ასეა სინამდვილეში? რუსებს ვინმესთვის რაიმე კარგი გაუკეთებიათ? ეგ, ვითომ, რატომ? რატომ უნდა გაეკეთებინათ რამე კარგი სხვისთვის? ყველა ქვეყანა ვალდებულია, იზრუნოს, პირველ რიგში, *საკუთარ* ინტერესებზე და *საკუთარი* მოქალაქეების კეთილდღეობაზე. მაშინ, ასე ვთქვათ: გაუკეთა რუსეთმა რაიმე სიკეთე საკუთარ მოქალაქეებს? ცხოვრობდა კი საერთოდ როდესმე ვინმე უარესად, ვიდრე რუსები რუსეთში? აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ხალხებსა და ტომებს ნუ შევედრებით, ეს უფრო საწყენი იქნება (სხვათა შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის გარდა, ნიკარაგუამ, „ჰეზბოლამ“ და „ჰამასმა“ აღიარეს. ანუ, რაღაც საერთო მაინც არსებობს. საოცარი კომბინაციაა - რუსეთი, ნიკარაგუა, „ჰამასი“ და „ჰეზბოლა“).

**აღიარა რუსმა ხალხმა პასუხისმგებლობა საერთოდ რამეზე? არა. დამნაშავეები ყოველთვის სხვები იყვნენ. კრილოვის ფრაზა რომ გადავაკეთოთ, [illegible]**

თუმცა, საბოლოოდ ეს მათი, შიდა რუსული საქმეა. ისე იცხოვრონ, როგორც გაუხარდებათ და იმასთან იმეგობრონ, ვისთანაც თავად სურთ.

უბედურება ისაა, რომ რუსეთი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში არათუ ვერ ახერხებდა, ადამიანურად ეცხოვრა, არამედ ამ თავის მოუხერხებლობას სხვა ხალხებს ახვევდა თავს. იპყრობდა ახალ ტერიტორიებს მოსახლეობიანად და ამ მოსახლეობას ცხოვრების საკუთარ წესს თავს ახვევდა. ისტორიის ადრინდელ სახელმძღვანელოებში იწერებოდა, რომ რუსეთი ამ ყველაფერს მხოლოდ კეთილი განზრახვებით აკეთებდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**ალექსანდრ ბრაილოვსკი დაიბადა 1959 წელს საქართველოში, სწავლობდა მოსკოვში, დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. რუსულად თარგმნა ნოდარ დუმბაძის, ჯემალ ქარჩხაძის, რეზო ჭეიშვილის და ჯემალ თოფურიძის ნაწარმოებები. 1993 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში. გამოქვეყნდა და დაიდგა მის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნი ე.შმიტის პიესა „გარყვნილი.“ არის პარიზის მცოდნე. აწყობს ექსკურსიებს პარიზის ისტორიულ და „ლიტერატურულ“ ადგილებში.**

## შარშან ამოღებული დიდი რაოდენობის ნარკოტიკები

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ინფორმაციით, გასული წლის განმავლობაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია 8,332 კილოგრამი "ჰეროინი" და 9 ათასი აბი "სუბუტექსი".

რაც შეეხება სხვა სახის ნარკოტიკულ საშუალებებს, სოდი-ს მონაცემებით, 2008 წელს ასევე ამოღებულია 90 აბი "სუბოქსინი", 72 გრამი "ბუპრენორფინი", 180 გრამი "მეტადონი", 36,337 გრამი "მორფინი", 3,849 კილოგრამი "მარიხუანა", 47,4512 გრამი ოპიუმი, 0,02 გრამი "კოკაინი", 8,485 გრამი "ტრამადოლი", 0,735 გრამი "კოდეინი", 0,2577 გრამი "მეტამფეტამინი" და 0,7 გრამი "დიფენოფქსილატი".

უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია რეგულარულად ანადგურებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დიმიტრი შაშკინი: შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს

„სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მთავარი მიზანი დიალოგის გზით წარმატებული რეფორმების გატარება იქნება,“ - აცხადებს ახლად დანიშნული მინისტრი დიმიტრი შაშკინი.

"ჩვენ ვგეგმავთ რეფორმებს, რომელიც იმ სფეროს, რომელშიც დავინიშნე, დიდ წარმატებებს მოუტანს. ჩვენი მიზანია, დიალოგი ვაწარმოოთ საზოგადოებასთან, რათა წარმატებით განხორციელდეს ეს რეფორმები. უნდა შედგეს დიალოგი. ჩვენ არ გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება, რადგან საქმე ეხება ხალხს, ადამიანთა სიცოცხლეს, აქედან გამომდინარე, დიალოგის შედეგად უნდა მივიღოთ ხალხისთვის და ჩვენთვისაც სასარგებლო რეფორმები", - აცხადებს მინისტრი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურია

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში რუსი ოკუპანტების მიერ დაჭრილი ზურაბ ბოხუას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსი პაატა შამუგია აცხადებს, ბოხუას ოკუპანტებმა ზუგდიდში გადმოსვლის დროს ესროლეს. "ბოხუა სოფელ ზემო ბარღების მკვიდრია, იგი წუხელ, გვიან ღამით, სოფელ ნაბაკევიდან ზუგდიდიში გადმოდიოდა, როცა ოკუპანტებმა ცეცხლი გაუხსნეს, გასროლის შედეგად ბოხუა კისრის არეში დაიჭრა, საბედნიეროდ მისი გადმოყვანა მოხერხდა და ამჟამად ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში იმყოფება", - განაცხადა შამუგიამ.

**პირველი**

## რუსმა ჯარისკაცებმა ოს ბოევიკს თავი მოაჭრეს

ჟურნალ "რუსული ნიუსვიქის" ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, ახალგორში განლაგებული რუსული 693-ე პოლკის ჯარისკაცებმა ერთ-ერთ ოს ბოევიკს თავი მოაჭრეს და ცხედარი დამარხეს.

ჟურნალის ცნობით, ოსი ბოევიკი ჯარისკაცებს ფულს სძალავდა. "ნიუსვიქის" ინფორმაციით, დანაშაულში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს, თუმცა, 693-ე პოლკის იმიჯის შენარჩუნების მიზნით, გამოძიებამ საქმეს კვალიფიკაცია შეუცვალა. კერძოდ, ეჭვმიტანილმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ისინი ე.წ. სკინჰედები არიან და მკვლელობა სწორედ რასობრივ ნიადაგზე მოხდა.

**მედიანიუსი**

## ევროსასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ

ევროსასამართლომ რუსეთის ფედერაცია დამნაშავედ ცნო ჩეჩნეთის მოქალაქეთა გაუჩინარებასა და ინგუშეთის მოქალაქეების წამებაში.

სასამართლომ რუსეთი დაავალდებულა, დაზარალებულ ოჯახებს კომპენსაციის სახით 300 ათას ევრო გადაუხადოს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ "ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის" რიგი დებულებები დაარღვია, რისთვისაც მოსარჩლეებისთვის 280 ათასი ევროს გადახდა დააკისრა მორალური ზარალისთვის, 6 ათასი ევროს გადახდა - მატერიალური ზარალისთვის, ხოლო 18658 ევრო სასამართლო ხარჯების დასაფარად.

**მედიანიუსი**

# მალხაზ ბეუღლიშვილის ბედი კვლავ გაურკვეველია

*ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მტკიცებით, ორი დღის წინ გატაცებული ქართველი მსაჯი გათავისუფლებულია. ამ ინფორმაციას ადასტურებს რუსული საინფორმაციო წყაროებიც, თუმცა ქართულ მხარე მალხაზ ბეუღლიშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებს.*

მიმდინარე წლის 6 თებერვალს, დაახლოებით დილის 7 საათზე თბილისი-სენაკის მაგისტრალზე, იგოეთის გადასახვევთან, ოსმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა დასავლეთის მიმართულებით მიმავალი "მერსედესის" მარკის მანქანა გააჩერეს. ავტომანქანაში ფეხბურთის მსაჯები ისხდნენ, რომლებიც ზუგიდიდში კალენდარულ მატჩზე დასასწრებად მიდიოდნენ. ყაჩაღებმა მატჩის დელეგატ თამაზ კოსტავას მანქანა ჩამოართვეს და ოთხივე მგზავრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ, "მერსედესი" და ერთ-ერთი მგზავრი მალხაზ ბეუღლიშვილი ორჭოსანის მიმართულებით, სავარაუდოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით წაიყვანეს.

მომხდარი ქართველ სამართალდამცველებს თავად დაზარალებულებმა აცნობეს, რის შემდეგაც საქმეში ევროკავშირის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ. ოსურ მხარეთან მოლაპარაკების შემდეგ, უცხოელი დამკვირვებლების დახმარებით, ცნობილი გახდა, რომ სეპარატისტები გატაცებულის გათავისუფლების სანაცვლოდ 50 ათას აშშ დოლარს ითხოვდნენ.

სხვათა შორის, ოსი კრიმინალების მიერ მალხაზ ბეუღლიშვილის გატაცების ფაქტი არ გააპროტესტებიათ ცხინვალის ე.წ. მთავრობის წარმომადგენლებსაც. სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის შს საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიტალი გასიევმა სააგენტო "რეს"-თან კომენტარისას განაცხადა, რომ ადამიანის გატაცება სერიოზული დანაშაულია და ამ ინფორმაციის შესამოწმებლად სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ძალა და საშუალებაა ჩართული.

დანაშაულიდან მეორე დღეს, სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მალხაზ ბეუღლიშვილი ოსმა სამართალდამცველებმა შაბათს, გვიან საღამოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს.

**"სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც წარმატებით დასრულდა, ქართველი ბეუღლიშვილი თავისუფალია და ამჟამად, მისი ქართული მხარისთვის გადაცემის მექანიზმი მუშავდება,"** - განაცხადა სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. შს მინისტრის მოადგილემ ვიტალი გასიევმა.

მისი ცნობით, გატაცებული თავს კარგად გრძნობს და უკვე ესაუბრა ოჯახის წევრებს.

დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მტკიცებით: **"მიუხედავად წარმატებულად ჩატარებული სპეცოპერაციისა, ამ ეტაპზე გამტაცებელთა ვინაობა უცნობია და მათი დადგენის მიზნით საგამოძიებო ღონისძიებები გრძელდება."**

ქართველი მსაჯის გათავისუფლება დაადასტურა რუსულმა სააგენტო "ინტერფაქსმაც", თუმცა დღის ბოლომდე ამ ინფორმაციას არ ადასტურებდა ქართული მხარე.

**"მართალია, მალხაზ ბეუქლიშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, მაგრამ ამის თაობაზე ჩვენთვის ჯერ ცნობილი არაფერია,"** - განაცხადა გუშინ საღამოს შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა.

ქართული წყაროების ცნობით, ბეუღლიშვილის გათავისუფლების საქმეში ჩაერთვებიან საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები FIBA და UEFA.

**საკუთარი ინფორმაცია**

# სახელმწიფოთაშორისი განაცხადი სტრასბურგის სასამართლოში

*გარდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კერძო საჩივრებისა, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს მთავრობამაც წარადგინა სახელმწიფოთაშორისი განაცხადი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. სამთავრობო განაცხადში საუბარია აგვისტოში, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე. როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, ბოლო სახელწმიფოთაშორისი განაცხადი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასული წლის 11 აგვისტოს ინიცირებული პროცესის თანმიმდევრულ გაგრძელებას.*

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 11 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დროებითი ზომების გამოყენების მოთხოვნით მიმართა. 2008 წლის 12 აგვისტოს ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციას ვალდებულება დააკისრა, დაეცვა კონვენციით გარანტირებული უფლებები და მიუთითა, თავი შეეკავებინა ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

იმის გამო, რომ, ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, 12 აგვისტოს შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან არ განხორციელებულა არსებითი ზომები ადამიანის უფლებათა დასაცავად, ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე გააგრძელა მასზე დაკისრებული დროებითი ღონისძიების მოქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებაზე მითითებით. როგორც იურისტები განმარტავენ, მნიშვნელოვანია, რომ ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტში სტრასბურგის სასამართლო ამ ფორმით ჩაერთო.

სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მთავრობის მიერ ამ დღეებში გაგზავნილი განაცხადი შეეხება რუსეთის ფედერაციის მიერ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების დარღვევას, როგორც საჰაერო დაბომბვის, ისე რუსული ქვეითი ძალებისა და სეპარატისტების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, რომლებიც რუსეთის კონტროლს ექვემდებარებოდნენ.

სახელმწიფოთაშორისი განაცხადი ეხება აგრეთვე, ევროკონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას. საუბარია როგორც რუსი სამხედროების, ისე ოსი სეპარატისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

განაცხადში საუბარია ასევე ევროკონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვედ აყვანაზე, მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევაზე.

საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოთაშორის განაცხადში, რუსეთის მხრიდან ევროკონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევებსაც მიუთითებს. განაცხადში საუბარია ასევე, სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობაზე, საკუთრების უფლების მასობრივ დარღვევასა და მიმოსვლის თავისუფლების დარღვევაზე.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მოკლულ ჟურნალისტთა სტატისტიკა

*ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც 123 ქვეყნის 600 ათას ჟურნალისტს აერთიანებს, მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც, 2008 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილ ჟურნალისტთა რაოდენობაა ასახული. გამოქვეყნებული მონაცემებით, შარშან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მედიის 109 თანამშრომელი მოკლეს.*

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ყველა ქვეყნის ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს და მოუწოდებს, ჟურნალისტთა მკვლელობების შესაჩერებლად აქტიური ღონისძიებები გაატარონ.

„**ბევრი დემოკრატიული ქვეყანა გულგრილობას იჩენს ჟურნალისტებზე თავდასხმების მიმართ. ჩვენი მიზანი კოლეგებისთვის უსაფრთხოების უკეთესი პირობების შექმნაა,**“ - ნათქვამია ანგარიშში.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოების ხარისხის გასაზრდელად აუცილებელია, ისინი ექსტრემალურ სიტუაციებში მუშაობის საჭირო უნარ-ჩვევებს ფლობდნენ. გარდა ამისა, ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტებს მუშაობის დამაკმაყოფილებელი პირობები უნდა ჰქონდეთ.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია მედიის საქმიანობისთვის ყველაზე საშიშ და სახიფათო ქვეყნად ერაყს მიიჩნევს, სადაც ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წელს 16 ჟურნალისტი მოკლეს. ამავე მონაცემების მიხედვით, ერაყს მიჰყვება მექსიკა, სადაც სხვადასხვა მიზეზით, 2008 წელს 10 ჟურნალისტი გამოასალმეს სიცოხლეს. მესამე ადგილზე კი ინდოეთია, სადაც ერთი წლის განმავლობაში 6 ჟურნალისტია მოკლული.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში ასახულია ჟურნალისტების მკვლელობის 4 ფაქტიც, რომელიც 2008 წელს საქართველოში მოხდა.

საუბარია გასული წლის 9 აგვისტოს, რუსეთი-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ცხინვალში მოკლულ ორ ჟურნალსტზე - ალექსანდრე კლიმჩუკსა და გრიგოლ ჩიხლაძეზე.

ალექსანდრე კლიმჩუკი სააგენტო "იტარ-ტასში" მუშაობდა და საკუთარ ფოტო-სააგენტოს Caucasus Press Images ფლობდა. რაც შეეხება გრიგოლ ჩიხლაძეს, ის რუსული NewsWeek-ის რეპორტიორი იყო.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშში მოხვდა 2008 წლის 12 აგვისტოს, გორის დაბომბვის დროს, რუსეთის ავიაციის მიერ ჩამოყრილი კასეტური ბომბის მიერ მოკლული ჰოლანდიელი ოპერატორი სტან სტორემანსი.

ანგარიშში ასახულია ასევე ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ოპერატორის გიორგი რამიშვილის დალუპვის ფაქტიც. გიორგი რამიშვილი 2008 წლის 6 სექტემბერს ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა, როცა ის თბილისის მახლობლად მიმდინარე სამხედრო წვრთნებს ვიდეოკამერით იღებდა.

ანგარიშის ავტორები მიუთითებენ იმ დიდ საფრთხეებზე, რომლებიც ჟურნალისტებს საომარი მოქმედებების დროს ემუქრებათ.

„**ასეთ პირობებში, ჟურნალისტური კავშირები და ასოციაციები ვალდებულნი არიან, იზრუნონ და დაამკვიდრონ ჟურნალისტების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტები,**“ - ნათქვამია ფედერაციის ანგარიშში.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მკაფიო გზავნილები

## მიუნხენის მსოფლიო უსაფრთხოების 45-ე კონფერენცია

ხათუნა ბაბიევი


AFP ' 2009

მიუნხენში მსოფლიო უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი 45-ე კონფერენცია გაიმართა, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაღალჩინოსნებს საშუალება ჰქონდათ, საერთაშორისო უსაფრთხოების განმსაზღვრელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე ემსჯელათ. ფორუმის მსვლელობისას განსაკუთრებული დაინტერესება რუსეთ-ამერიკისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობებმა, ირანის, ახლო აღმოსავლეთისა და ავღანეთის საკითხებმა გამოიწვიეს.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე საყურადღებო იყო შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებები.

ჯო ბაიდენის თქმით, შეერთებული შტატები განაგრძობს ისრაელის თანასწორად პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის დახმარებას.

**"ჩვენ ვიმუშავებთ ამ მიზნის მისაღწევად, რათა დავამარცხოთ ექსტრემიზმი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას უშლის ხელს,"** - განაცხადა ბაიდენმა.

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ოფიციალური ვაშინგტონი ავღანეთში "მკაფიო და მიღწევადი" მიზნების განსაზღვრას აპირებს. ახალმა სტრატეგიამ წერტილი უნდა დაუსვას ავღანეთის ტერიტორიაზე ისლამისტი ბოევიკების თავშესაფარს. ამ მიმართულებით ოფიციალური ვაშინგტონის სერიოზულ გეგმებს ახალი პრეზიდენტის პოზიციაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც ავღანეთში ვითარების სტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება პაკისტანს შეუძლია.

**"ჩვენ უნდა გავააქტიუროთ პაკისტანის ხალხთან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, დავეხმაროთ მათ სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში,"** - განაცხადა ბარაკ ობამამ.

გარდა ამისა, ერთ-ერთი თემა, რომელსაც ბაიდენი შეეხო, გუანტანამოს ციხე და მისი პრობლემები იყო. ბაიდენის თქმით, ოფიციალურ ვაშინგტონს საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორების მხარდაჭერის იმედი აქვს კუბაზე სპეცსაპყრობილე გუანტანამოს დახურვის საკითხში. მოკავშირეებს შეუძლიათ შეერთებული შტატებისთვის დახმარების გაწევა ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუკი თავის ციხეებში გუანტანამოს ზოგიერთ პატიმარს მიიღებენ. ბარაკ ობამამ გუანტანამოს დახურვის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, მაგრამ გაურკვეველი რჩება 245 პატიმრის ბედი, რადგან მათ გაგზავნას სამშობლოში შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის განსხვავებული კანონმდებლობების გამო კი დღემდე ვერ ხერხდება ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, თუ რითი შეუძლიათ მათ დახმარება გაუწიონ ოფიციალურ ვაშინგტონს.

არანაკლებ საინტერესო იყო რუსეთის პირველ ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვისა და შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებები რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. ბაიდენის განცხადებით, მოვიდა დრო, როცა საჭიროა მოსკოვისა და ნატო-ს ურთიერთობებში სახიფათო დრეიფის დასრულება. მისი თქმით, შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ტონის შეცვლას აპირებს და მზადაა, მეტად უგდოს ყური თავის მოკავშირეებს, მაგრამ მათგან მეტიც მოითხოვოს.

**"მოვიდა დრო, ხელი დავაჭიროთ "გადატვირთვის" ღილაკს და კვლავ დავუბრუნდეთ იმ სფეროების გადახედვას, რაც ჩვენს ძალებს არ აღემატება და რაშიც საჭიროა თანამშრომლობა. შეერთებული შტატებისთვის მიუღებელია თვალსაზრისი, თითქოს ნატო-ს გამარჯვება რუსეთის მარცხია ან რუსეთის ძლიერება ნატო-ს სისუსტეს ნიშნავს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ალიანსის წევრებთან რუსეთის დამოკიდებულებაში სახიფათო ტენდენცია შეიმჩნეოდა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველაფერში დავეთანხმებით რუსეთს,"** - განაცხადა ჯო ბაიდენმა, რაც სერგეი ივანოვმა ორი ქვეყნის ურთიერთობაში "დადებით სიგნალად" შეაფასა.

ბაიდენის თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაფართოებას განაგრძობს, რაც მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ ყურადღება მიექცევა სარაკეტო ფარის ღირებულებასა და სისტემის ეფექტიანობას. ოფიციალური ვაშინგტონის თანახმად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ირანის მზარდი სამხედრო ძლიერების საწინააღმდეგოდ არის აუცილებელი.

**"ჩვენ რაკეტსაწინააღმდეგო ფარის დამუშავებას ირანის მზარდი შესაძლებლობებისთვის წინ აღსადგომად განვაგრძობთ. ნატო-ს წევრი ქვეყნები უკეთ უნდა იყვნენ აღჭურვილნი მსოფლიოში ყველაზე საშიში იარაღის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ახალი საფრთხის პირისპირ აღმოჩენისას კი მისი განეიტრალების საშუალებაც უნდა გვქონდეს,"** - აღნიშნა ბაიდენმა.

გარდა ამისა, ბაიდენის თქმით, რუსეთსა და ნატო-ს შეუძლიათ თანამშრომლობა "ალ ქაიდასა" და ავღანეთში თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც ბირთვული შეიარაღების შემცირებაში.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ასევე ხმამაღლა გამოთქვა თეირანთან მოლაპარაკებებისთვის ოფიციალური ვაშინგტონის მზაობა, თუმცა აქაც არსებობს ერთი მაგრამ.

**"ჩვენ ირანთან მოლაპარაკებები გვსურს და მათ ნათელ არჩევანს ვთავაზობთ: გააგრძელებთ ამჟამინდელ კურსს და გელით ზეწოლა და იზოლაცია, ხოლო თუ უარს იტყვით კანონსაწინააღმდეგო ბირთვულ პროგრამასა და ტერორიზმის მხარდაჭერაზე, ჩვენგან წახალისებას მიიღებთ,"** - აღნიშნა ბაიდენმა.

ირანის ბირთვული პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების იმედი ასევე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გამოთქვა. მას მხარი საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმაც აუბა და ამ საკითხში რუსეთთან თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

**"რუსეთმა უნდა გადაწყვიტოს ვის მხარეს დაიკავებს. თუ მას მშვიდობა უნდა არც ამის დემონსტრირებას უნდა მოერიდოს. თუ რუსეთს სურს იყოს მშვიდობიანი სახელმწიფო, მაშინ ამ საკითხში უნდა დაგვეხმაროს,"** - აღნიშნა სარკოზიმ.

ცნობისთვის, ოფიციალური თეირანის წარმომადგენელმა, ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ობამას ადმინისტრაციისგან იმაზე მეტს ელის, ვიდრე მხოლოდ რიტორიკის შეცვლაა.

# ახალი რუსული იმპერია

მარიკა იაშვილი

**"კრემლმა საგარეო პოლიტიკის ენა შეარბილა, თუმცა მუშტები ჯერ კიდევ არ გაუხსნია,"** - საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კრემლის ბოლოდროინდელ საგარეო პოლიტიკას აანალიზებენ. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენამ პიკს მიაღწია. არავის ეპარება ეჭვი, რომ მანასის ბაზის დახურვაში რუსეთის ხელი ურევია.

**"ყირგიზეთის პრეზიდენტმა კურმანბეკ ბაკიევმა მანასის ბაზის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება სწორედ მაშინ მიიღო, როდესაც მას ავღანეთში ნატო-ს მისიის გაგრძელებაში მთავარი როლი უნდა შეესრულებინა,"** - წერს გაზეთი "მონდი." ამ განცხადებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი რუსეთმა ყირგიზეთს - ყველაზე ღარიბ ქვეყანას პოსტსაბჭოთა სივრცეში - მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა. პატარა ქვეყანას, რომელიც ენერგომომარაგებისა და ფინანსური პრობლემების წინაშე დგას, ერთადერთი გამოსავალიღა რჩება - რუსეთის მოთხოვნების შესრულება.

გაზეთი მანასის დახურვის გადაწყვეტილებას მოსკოვის გამარჯვებას უწოდებს, რუსეთი ხომ დიდი ხანია, ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ძველი პოზიციების დაბრუნებას ცდილობს. **"თუმცა, ასეთი გადაწყვეტილება, გაოცების გარდა, არაფერს იწვევს. განა რუსეთი არ აცხადებდა, რომ მხარს უჭერს ნატო-ს მოქმედებას ავღანეთში?"** - აღნიშნავს სტატიის ავტორი. ამასთან, იგი ბაზის დახურვას იმის დასტურად მიიჩნევს, რომ კრემლი ნატო-სთან მოლაპარაკებების განახლების შემთხვევაში თავის პირობებს წამოაყენებს.

**"რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ყველა დადებითი სიგნალი, რომელიც რუსეთის მხრიდან ბოლო პერიოდში ობამას ინიციატივების გამო მოდის, კონკრეტულ გზავნილებს შეიცავს, თუმცა საქმით რუსეთი სხვა რამეს ამტკიცებს,"** - წერს "ნიუ-იორკ თაიმსში" კორესპონდენტი ელენ ბერი. იგი სტატიაში ყურადღებას ამახვილებს ყირგიზეთის პრეზიდენტის განცხადებაზე და მიიჩნევს, რომ ამერიკული სამხედრო ბაზის დახურვა სერიოზული შეფერხება იქნება ობამას გეგმების განხორციელებისთვის, რომლებიც ავღანეთში ამერიკელ სამხედროთა კონტინგენტის 30 000 კაცამდე გაზრდას ითვალისწინებს. კორესპონდენტი მიიჩნევს, რომ შესაძლოა კრემლის ამჟამინდელი პოლიტიკა მხოლოდ იმის მცდელობაა, რომ ობამამ ყურადღება რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს მიაპყროს.

თანამედროვე რუსეთი იმპერიას ქმნის, თუმცა არა დაშინების პოლიტიკაზე, არამედ ფულზე დაყრდნობით, მიიჩნევენ ბრიტანულ "თაიმსში." **"კრემლის მრავალრიცხოვანი ინიციატივები სულ უფრო მყარად აკავშირებს მოსკოვთან ყოფილ სატელიტებს,"** - წერს კორესპონდენტი ტონი ჰელფინი და თავისი ვარაუდის დასამტკიცებლად სწრაფი რეაგირების ერთობლივი ძალების, ანტიკრიზისული ეკონომიკური ფონდისა და რუსულ-ბელარუსული საჰაერო თავდაცვითი სისტემის შექმნას გვახსენებს.

რუსეთმა უკვე მოახერხა ამერიკული სამხედრო ძალების განდევნა ცენტრალური აზიიდან და ახლა ცდილობს, ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირი დაამარცხოს. ჰელფინი სტატიაში მანასის ბაზის დახურვი, ტაშკენტთან რუსეთის შეთანხმებისა და "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ანექსიის" შესახებ საუბრობს. მისი განცხადებით, სომხეთი უკვე ისედაც რუსეთის ფაქტობრივი ვასალია, რადგან მისი ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი რუსულ კომპანიებზეა გაყიდული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მეზობლებზე რუსეთის გავლენამ მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში თავის მაქსიმუმს ახლა მიაღწია, - წერს მიმომხილველი.

გაზეთ "გარდიანის" მიმომხილველ ჯოშუა კუჩერის აზრით, მანასში ამერიკული სამხედრო ბაზის დახურვა არა მარტო საბაზრო პოლიტიკის გამოვლინებაა, არამედ ზაფხულში მომხდარი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გაგრძელებაც.

**"როდესაც საქართველო-რუსეთმა ომი წამოიწყეს და ამერიკა მხოლოდ მაყურებლის როლში დარჩა, აშშ-ს სხვა მოკავშირეებმა პოსტსაბჭოთა სივრციდან ერთგვარი სიგნალი მიიღეს: თუ ამერიკა არ ეხმარება საქართველოს, დაეხმარება ის უკრაინას, აზერბაიჯანს, ან ყაზახეთს?"** - წერს კუჩერი და ვარაუდობს, რომ ყირგიზეთმა ამ კითხვას უკვე გასცა უარყოფითი პასუხი და აშშ-ს რუსეთი ამჯობინა.

დღემდე მიიჩნეოდა, რომ რუსეთს ხელს აძლევდა მანასში ამერიკული სამხედრო ბაზის არსებობა და ამერიკის მხრიდან თალიბებთან ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ფულის დახარჯვა. თუმცა ახლა, როგორც ჩანს, მის ინტერესებში უფრო მეტად ამერიკელი სამხედროებისთვის ცენტრალურ აზიაში პრობლემების შექმნა შედის, ვიდრე აშშ-ს მხარდაჭერა ავღანეთში, - ასკვნის კუჩერი.

**"რუსულმა დათვმა გაიღვიძა და იმპერიის შექმნა განიზრახა, დასავლეთი კი ამაზე არასწორად რეაგირებს,"** - წერს "ვაშინგტონ თაიმსის" ფურცლებზე ანალიტიკოსი პიტერ ჰემფრი. ის, რასაც ახლა რუსეთი აკეთებს, გარკვეულწილად შურისძიებაა ცივ ომში დამარცხებისთვის.

ტერიტორიული კავშირი ჩრდილოეთ პოლუსთან და ახალი პოლარული სადგურების მშენებლობა, ჟურნალისტების, იურისტებისა და სამართალდამცველების მკვლელობა, ენერგეტიკულ სექტორზე ზეწოლა, ამერიკის ბირთვულ-საწინააღმდეგო პროგრამის ოპონირება, ნატო-ში წევრობის კანდიდატთა დაშინება, იარაღით ვაჭრობა - ეს ის ნიშნებია, რომლებიც, ავტორის აზრით, რუსეთის მიერ ევრაზიაზე ბატონობის სურვილს გამოხატავს.

ჰემფრი ვაშინგტონს საკუთარი განვითარებადი სტრატეგიის შემუშავებისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, რუსეთსა და ვაშინგტონს ისეთი საერთო პრობლემაც აქვთ, რომელიც ერთმანეთთან უთანხმოებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია - ეს არის ისლამიზმი, რომელსაც ორივე ქვეყნისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია. ამიტომ მიმომხილველი ობამას ურჩევს, დათმობაზე წავიდეს და რუსეთს მეგობრობის ხელი გაუწოდოს.

**United Nations Development Programme**

**UNDP Georgia**

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამა გაეროს სხვა სააგენტოებთან ერთად აცხადებს ტენდერს

ტურისტული სააგენტოს შერჩევაზე

სატენდერო წინადადება და სამუშაოს აღწერილობა შეგიძლიათ იხილოთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 27 თებერვალი 17:00 საათი.

CMYK - 8

## აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით
# კონვერტირებადი ანაბარი
# ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 8

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიოო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| ადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| იდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| ეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| ლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| სნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| ღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| ანზონის ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |
| ორთაჭალის ფილიალი | გორგასლის ქ. 37 | 723270 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |
| ზესტაფონის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 59 | 8 (292) 52512 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

# სიზმრებში გაფანტული მელოდიური როკი

## გამოვიდა ხათუნა თავდგირიძისა და თეონა დოლენჯაშვილის ახალი წიგნები

ია ვეკუა

ქართულ მწერლობაში მამაკაცები დომინანტობენ. გავიხსენოთ თუნდაც წინა კვირის მიმოხილვის წიგნი - "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ გამოშვებული "ყველა დროის 20 საუკეთესო მოთხრობა", რომელშიც მხოლოდ ნაირა გელაშვილის გვარი იკითხებოდა. ამჯერად ბალანსის დაცვის მიზნით ორი ქალი მწერლის ახალი წიგნების შესახებ მოგითხრობთ. ხათუნა თავდგირიძის რომანი Homo Totus უკვე გაყიდვაშია, ხოლო თეონა დოლენჯაშვილის "მემფისს" მკითხველი მომავალი კვირიდან მიიღებს.

"საბას" პრემიის ლაურეატი თეონა დოლენჯაშვილისთვის "მემფისი" პირველი რომანია, მასზე თითქმის ორი წლის განმავლობაში მუშაობდა, საკუთარ ნამუშევარს კი ორიოდე სიტყვით აფასებს: "კმაყოფილი ვარ". წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: "დასავლური სამყარო დაბერდა, დაძაბუნდა და სიყვარულის და სიცოცხლისთვის აუცილებელი ორგანო - გული დაუავადდა. ამ უძველესი და მაგიური, მარად განახლებადი, უკვდავი და ყოვლისშემძლე მემფისის მოჩვენებით სიძლიერეს თავშეფარებული ადამიანები ყველაზე უბედური, სიყვარულისა და იმედებისაგან დაცლილი, თოჯინებად ქცეული არსებები არიან. ასეთივეა წიგნის მთავარი გმირიც - ქართველი მხატვარი გოგონა, რომელიც ომისა და ადამიანების სიცივისგან გაყინულ 90-იანი წლების თბილისს ევროპაში გაურბის, თუმცა ცივილიზებულ და ბრწყინვალე გარემოში მოხვედრილი ახალი მემფისის ცრუ ღმერთების ნებაყოფლობითი მსხვერპლი ხდება."

როგორც ავტორი ამბობს, რომანი არ არის ავტობიოგრაფიული, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში აღწერილი ისტორიის მის რეალურ ცხოვრებასთან შედარება შესაძლებელია. იგი სწორედ იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც ის "ქართველი მხატვარი გოგონა" განეკუთვნება. "ეს ყველაფერი ჩემმა მეხსიერებამ შემოინახა, მახსოვს 90-იანი წლების თბილისი, ის განცდები და შეგრძნებები, რომელიც მაშინდელ საზოგადოებას ლამის ავადმყოფობასავით სდევდა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ჩემში წლების განმავლობაში ილექებოდა და საბოლოოდ ტექსტის ფორმა მიიღო", - ამბობს თეონა დოლენჯაშვილი. იგი არც პერსონაჟთან საკუთარი პერსონის იდენტიფიცირებას უარყოფს - საკუთარ თავთან ბრძოლა, არჩევანის გაკეთება, შინაგანი კონფლიქტი ხომ ნებისმიერი პიროვნების ცხოვრების თანამდევია.

მემფისი - ძველი ეგვიპტის დედაქალაქი ამჯერად ბებერი და დაუძლურებული ევროპის განსახიერებაა, რომელიც მესამე სამყაროს ქვეყნებიდან იღებს სასიცოცხლო ენერგიას. მათ შორისაა საქართველოც - შვილისთვის გადასანერგი ჯანმრთელი გულის საძებნელად წიგნის პერსონაჟი სწორედ აქ ჩამოდის. "ვცდილობდი, ნაწარმოები რაც შეიძლება დოკუმენტური ხასიათის გამოსულიყო და მასში აღწერილი ისტორიები მაქსიმალურად რეალისტური ყოფილიყო. შესაძლოა ამიტომაც გამოვიდა ფინალი ასე მძიმე - სამწუხაროდ ამას ვერ ავცდი. მთლიანობაში კი რომანით კმაყოფილი ვარ. ჩემთვის ლიტერატურა ყოველთვის მუსიკასთან ასოცირდება, ამჯერად კი ამ ნაწარმოებს მელოდიურ როკს შევადარებდი", - ამბობს ავტორი.

Homo Totus პირველი რომანია ხათუნა თავდგირიძისთვისაც, თუმცა თავად ავტორი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი. ვინც აქტიურად ადევნებდა თვალს 2008 წლის ლიტერატურულ კონკურს "წეროს", უთუოდ ემახსოვრება მისი საკონკურსო მოთხრობა "ნიბელუნგების ბეჭედი" - კონკურსის ყველაზე ნამუშევარი, ყველაზე დახვეწილი მოთხრობა, რომელმაც სამწუხაროდ ამ კონკურსის მკითხველთა ხმები ვერ მიიღო.




**ხათუნა თავდგირიძე საკუთარი ნაწარმოების შესახებ:** "Homo Totus მთლიან ადამიანს ნიშნავს. ეს ის "მთლიანი ადამიანია", რომელსაც ადამიანები მუდმივად ვეძებთ. გზა მთლიანობისკენ კი საბედისწერო და ცდომილებებით სავსეა. ეს არის უგრძესი გზა კოსმოსთან, პირველსაწყისთან გასაერთიანებლად. ჩემი წიგნიც "მთლიანი ადამიანის" - Homo Totus-ის ძიებაა. მისი მთავარი პერსონაჟია მისტიური გადამწერი, რომელიც თავისივე გადაწერილ ტექსტებში ცხოვრობს. წიგნის არქიტექტონიკა აგებულია სიზმრის სიმბოლოებზე. სიუჟეტი იმის მიხედვით ვითარდება, თუ რა არქეტიპული სიმბოლო ნახეს სიზმრად პერსონაჟებმა, შესაბამისად თითოეული "სიზმრის გაცხადებას" შესაბამისი სიმბოლო-ნახატი ახლავს. ეს ჩანახატები ტექსტის ორგანული ქსოვილი, პარალელური თხრობაა. ნახატების ეს ციკლი საგანგებოდ ამ წიგნისთვის შექმნა არაჩვეულებრივმა მხატვარმა ირინა ტორონჯაძემ.

წიგნის მთავარი პერსონაჟი - გადამწერი, მისტიური ხელნაწერიდან იწერს ერთი გვარის - ბერელთა უჩვეულო ისტორიებს. თხრობისას ირიბად იკვეთება რომ ამ ისტორიების მთავარი გმირი, რომელშიც დანარჩენი პერსონაჟები "მთლიანდება" თავად გადამწერია. ნაწარმოებში მოთხრობილი ამბები, სიზმრის სიმბოლოებთან ერთად, ფოლკლორულ-მითოსურ საფუძველზე დგას. მხედველობაში მაქვს თურქულენოვანი, ოღუზური ფოლკლორული ძეგლი "დედე ქორქუთის წიგნი", ახალბერძნული ეპოსი "დიგენის აკრიტასი", ქრისტიანულ და ისლამური ხალხების ფოლკლორში გავრცელებული ნახევრად ლეგენდარული გმირის ლუყმანის თქმულებათა ციკლი, ასევე, სიკვდილის ანგელოზთან ბრძოლის ბიზანტიური სიუჟეტი. წიგნში ზოგადკავკასიურ "ნართულ" მოტივებსაც შეხვდებით და ეკლესიასტეს, ზირაქის ბიბლიურ იგავებსაც".

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ახალი წიგნების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათზე საუბარი შეგიძლიათ ფორუმის შემდეგ მისამართზე:
sulakauri.ge/forum.

# ბერლინალეს 59-ე კინოფესტივალი

ნინო მამარდაშვილი

5 თებერვალს გერმანიის დედაქალაქში ყველაზე პრესტიჟული და პოლიტიზირებული კინოფესტივალის გახსნა გაიმართა.

ბერლინალეს 59-ე ფესტივალი გახსნა გერმანელი რეჟისორის ტომ ტიკვერის პოლიტიკურმა თრილერმა "ინტერნეიშენლ", რომელშიც მთავარ როლებს კლაუვ ოუვენი და ნაომი ოულტსი თამაშობენ. ტომ ტიკვერი ცნობილია ფილმებით: "გაიქეცი ლოლა, გაიქეცი!" და "პარფუმერი". ფილმი ბიზნესის ფინანსურ მაქინაციებზეა, რაც ორგანიზატორების აზრით დღეს ყველაზე აქტუალურია.

როგორც ჩანს, წელს ბერლინალეს დირექტორს, დიტერ კოსლიკს ძალიან გაუმართლა, რადგან ზამთარში კინოკლასიკოსთა დიდმა რიცხვმა თავიანთ ფილმებზე მუშაობა დაასრულეს და ფესტივალის შესარჩევ კომისიას მხოლოდ ისღა დარჩენოდა ვეტერანები რანგობრივად დაენაწილებინა და გადაეწყვიტა ვინ მთავარ კონკურსში მიეწვია, ვისთვის კი საპატიო კონკურსგარეთა ბენეფისი მოეწყო.

საბოლოოდ, რიგით 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე 60 ქვეყნიდან 300 მდე ფილმი იქნა შერჩეული.

ბერლინალეს ძირითად კონკურსზე "ოქროს დათვისათვის" იბრძოლებს 18 სურათი, რომელთაგანაც 14 მსოფლიო პრემიერაა. კონკურსგარეთ თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ ბერძენი კინოს პატრიარქები თეო ანგელოპელუსი ("დროის მტვერი") და კოსტა-გავრასი ("სამოთხე-ეს დასავლეთია"), ასევე ფრანგი კლასიკოსი კლოდ შაბროლი ფილმით "ბელლამი".

ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შაბროლს, გამოჩენილ კინოთეორიტიკოსსა და პრაქტიკოსს, რომელმაც თავისი კარიერა 50-იანი წლების ბოლოს "ახალი ტალღით" დაიწყო, გადაეცემა "ბერლინალეს კამერა" კინემატოგრაფიის წინაშე დამსახურებული წვლილისთვის.

თავისი პირველი და ერთადერთი "ოქროს დათვი" კლოდ შაბლონმა ზუსტად 50 წლის წინ მიიღო ფილმისთვის "ბიძაშვილები".

ბერლინალე 2009 წლის ჟიურს მსახიობი ტილდა სიუნტონი ამშვენებს, რომელმაც ასევე დაიმსახურა ფესტივალის პრიზი 1998 წელს და სულ ახლახანს თავისი კოლექცია ოსკარით შეავსო მაიკლ კლეიტონის ფილმში მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისათვის.

"ამ თაიგულიდან ჩვენ ავირჩევთ რამოდენიმე ვარდს. ეს იქნება ფილმები, რომლებსაც ჩვენ ვურჩევთ ხალხს, რომ ნახონ, ხოლო ბერლინალეს ჟიურის არჩევანი სურათისათვის ცუდი რეკომენდაცია არ არის. თუმცა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მთავარი, რომ ჩვენი მიზანია გაგიზიაროთ ის რაც ჩვენს გულშია"- აცხადებს ტილდა სიუნტონი.

ჟიურის ყველაზე დიდი მოლოდინით გამოირჩევა ფრანსუა ოზონას ფილმის პრემიერა "რიკი" - სიურეალისტური კომედია ოჯახურ წყვილზე.

საკონკურსო ფილმებს შორის ორგანიზატორები გამოყოფენ ბერტრან ტავერნიეს ფრანკო-ამერიკულ ფირს "ელექტრონულ ბურუსში", რომელშიც მთავარი როლები ჟერარ დეპარდიემ და ბერტრან ტავერნიემ ითამაშეს.

ასევე კრიტიკოსები ელიან ინგლისელი სტივენ ფრიზის ფილმს "შერი" - კოსტუმირებული მელოდრამა მიშელ ფაიფერის მონაწილეობით. საინტერესოა ბრიტანელი სალი პოტერის ფილმი "მრისხანება" - 7 დღის სატირული ქრონიკა ნიუ იორკის მოდის სახლიდან, რომელიც პაროდიაა დოკუმენტურ ფილმზე.



არაბი წარმოშობის ფრანგი რეჟისორი რაშიდ ბუშარები კონკურსში წარმოადგენს ფილმს "ლონდონის მდინარე", ლონდონში 2005 წელს სახალხო ტრანსპორტში მომხდარი აფეთქებისა და მისი შედეგების შესახებ. ოსკაროსანმა მსახიობმა ბლენდა ბლეტინმა ფილმში ერთ-ერთი მსხვერპლის დედის როლი ითამაშა, რომელიც ურთიერთობაში შედის მუსლიმანთან, რომლის შვილიც ასევე ამ ტერორისტულ აქტშია დაღუპული.

თანამედროვე შვედური კინემატოგრაფიის ვარსკვლავი ლუკას მუდისონი წარმოადგენს საერთაშორისო პრემიერას "მამონტს" გაელ გარსია ბერნარისა და მიშელ ფაიფერის მონაწილეობით. მისი ეს პირველი ინგლისურენოვანი ფილმი, რომლის ბიუჯეტი 12 მილიონია, მოგვითხრობს ნიუ იორკის ოჯახური წყვილის დრამატულ ურთიერთობაზე. ნაჩვენები იქნება მიტჩელ ლიხტენშტაინის სურათი "ბედნიერების ცრემლები", ირანელი ასჰარ ბარჰადი "ელის შესახებ".

როგორც ხედავთ, ბერლინალე კვლავ არ არღვევს ტრადიციას და კვლავ ხაზს უსვამს, რომ იგი არ ინტერესდება მხოლოდ ევროპული კინოთი, არ შემოიფარგლება მხოლოდ კინემატოგრაფიულად განვითარებული ქვეყნებით და ეძებს საინტერესო კინონამუშევრებს მთელი მსოფლიო მასშტაბით.

ერთადერთი ცვლილევა რაც წელს შეინიშნება არის ის, რომ დამკვირვებელთა თანხმობით, ბერლინალეს დირექტორი უარს ამბობს "პირველი ღამის უფლების" პრინციპზე და პროგრამაში რთავს არაპრემიერულ ფილმებსაც, რომლებიც წესით სეზონის აღმნიშვნელ ფილმებად უნდა იქცნენ.

"კოსლიკი, დემონსტრირებას უკეთებს კურატორულ თავდაჯერებულობას და ასევე თავს უფლებას აძლევს არჩევანის ფუფუნებაც გამოიყენოს ... როგორც იქნა ამ სეზონში კოსლიკს ერთი ფესტივალის ჩარჩოებში ეღირსა შეითვისოს ბიზნესის, ხელოვნების და დამკვირვებლის ფუნქცია"-წერს ჟურნალი Screen.

რაც შეეხება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს, იგი ბერლინის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ევროპულ კინობაზარზე ახალი კინოპროდუქციით მესამედ წარსდგება.

წარდგენილი იქნება 2008 წლის ქართული ფილმების კატალოგი, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ბროშურები, ასევე ახალი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები. გიორგი ოვაშვილის ახალი ნამუშევარი ჟიურიმ უკვე იხილა. ამ ეტაპზე ველოდებით შედეგებს.

ამას გარდა, ბერლინალეს ახალგაზრდულ სექციაში კი წარსდგება 3 ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი ახალი პროექტებით: სალომე ჯაში, ალექსანდრე კვატაშიძე და გიორგი მრევლიშვილი.

# გიორგი ცაგარელი - მეტი ვიდრე ნიჭი

სოფო კილასონია

*მისი ამბავი ძალიან იოლად მოსათხრობია. არც ბევრი თარიღი, არც დატვირთული ბიოგრაფია. ამისთვის, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. მაგრამ ასაკმა ნიჭისგან დანდობა არ იცის, ამიტომაც ნიჭიერი ადამიანის პასუხისმგებლობა დიდი ხანია იტვირთა.*



გიორგი ცაგარელი იმ ახალგზარდა მუსიკოსთაგანია, რომელზეც სტანდარტული შეფასებები არ ვრცელდება - კარგი, ნიჭიერი და პერსპექტიული - არა. მის შესახებ უბრალოდ სვამენ შეკითხვას: იცნობ ცაგარელს? მოსმენილი გყავს? ცნობა იმის შესახებ რომ ის კარგებსა და ნიჭიერებს შორის განსაკუთრებულია თბილისში უკვე ბევრმა მიიღო. ყველამ ვინც მუსიკის ეროვნულ ცენტრში მოისმინა, და სხვებმაც, რომლებსაც ინფორმაცია გაოცებული ადამიანებისგან ვერბალურად მიიღეს. ალტისტი ცაგარელი არასდროს საუბრობს ბევრს, ის ყველაფერს ამბობს მაშინ, როცა გარდასახვას იწყებს. გარდასახვას კი ხშირად ახერხებს. და მაინც, ყოველი ეს აქტი მისთვის და მისი მსმენელისთვის არაჩვეულებრივია. როცა მოისმენთ და ნახავთ, როგორ უკრავს, მიხვდებით, რომ ამ პასუხისმგებლობით ის შორს და ღრმად მიდის, მიდის მუსიკაში და ნაწარმოების ბოლო ბგერამდე სცენაზე დგას სულ სხვა სახით, სულ სხვა გამომეტყველებით. მსმენელი აღიარებს, რომ ის სხვა სამყაროს უახლოვდება. ამ და სხვა მიზეზების გამო მისი სჯერათ.

2007 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, ბაკალავრიატი, ირაკლი ჯაფარიძის კლასში. ამავე წელს მას მოუსმინეს სხვადასხვა ფესტივალებზე შვეიცარიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში. ყველაზე საფუძვლიანად მაინც გერმანიაში შეყოვნდა, სადაც დეტმოლდის მუსიკის უმაღლეს სკოლაში ჩააბარა. ამ სკოლას დიდი ისტორია აქვს და ამ ისტორიის ფურცლებზე მეტად საინტერესო ავტორიტეტების გვარები მოსჩანს. დეტმოლდი იმდენად სკოლას არ ჰგავს, რამდენადაც ხელოვანთა ქალაქს. მუსიკოსთა სახელობის ქუჩები, საკონცერტო დიდი და პატარა დარბაზები.

გიორგი ცაგარელი მოცარტის ქუჩაზე ცხოვრობს. შორს არ არის კლასი, სადაც პროფესორებთან ინდივიდუალურად მუშაობს და არც ის დარბაზი, სადაც კვარტეტთან ერთად მუზიცირებს. ცაგერელი მუსიკოსთა ამ მიკროსამყაროში, რომელიც სინამდვილეში ასობით ნიჭიერ ახალგაზრდას აერთიანებს, უკვე გამორჩეულია.

Hochsule-ს რექტორის სტიპენდიანტი. ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის academie de cordes-ის და ფონდ □ინტერკულტურის□წევრი. შვეიცარიული საზოგადოება ლირის სამგზის სტიპენდიანტი. აგრეთვე გერმანულ ფონდ GFF-ის ორგზის სტიპენდიანტი. მიღებული აქვს 1 პრემია სიმებიანი კვარტეტების კონკურსზე StreichQuartett გერმანიაში... იცის, რომ ახლა □დაგროვების□ ეტაპი აქვს და რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს : დიდი კონკურსები, საინტერესო ფესტივალები და ამ გზას დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში მიჰყავს მუსიკოსი.



თუმცა ის, რომ საქართველოს არ ივიწყებს ჩვენი შეხვედრიდან 5 წუთში მივხვდი. არაფერზე უსაუბრია იმხელა დაფიქრებითა და სითბოთი, როგორც საქართველოში არსებულ კულტურულ პროცესებზე. კიდევ იმ ზოგად პრობლემატურ საკითხებზე - მუსიკოსთა არჩევანზე, იმაზე, თუ რას ასწავლიან მის კოლეგებს თბილისში, როგორია სარეპერტუარო პოლიტიკა ამ სფეროში და ა.შ. გადაწყვეტილი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს თბილისში დაბურნებული შექმნის ისეთ სასწავლებელს, სადაც პატარა მუსიკოსებს მუსიკის ფართო სამყაროს დაანახებს და დოგმებით მათ არჩევანსა და თვალსაწიერს არ შეზღუდავს.

ბოლო წლებში გიორგი ცაგარელი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრთან. 2007 წელს ეროვნულ საკონცერტო დარბაზში გამართულ თანამედროვე მუსიკის კონცერტზე მან პირველად საქართველოში შეასრულა პენდერეცკის, ლიგეტის, ბერიოსა და ფელდმანის ნაწარმოებები. მანამდე კიდევ იყო კონცერტები, რომლებზეც ცაგარელი ძირითადად იმ ავტორების ნაწარმოებებს უკრავდა, რომლებიც საქართველოში საერთოდ არავის შეესრულებინა. ასევე 2007 წელს ნიკა მემანიშვილთან ერთად გახდა ფესტივალ □კონტრაპუნქტის□ დამფუძნებელი და პირველ საფესტივალო კონცერტების პასუხისმგებლობაც სანახევროდ თავად იტვირთა. მაშინ რეპერტუარში მხოლოს ნასიძისა და შნიდკეს ნაწარმოებები შედიოდა. უკვე თანამედროვე მუსიკით გატაცებულმა მსმენელს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ალფრედ შნიტკეს კონცერტი (ალტისა და სიმფონიური ორკესტრისთვის) მოასმენინა. ამ კონცერტს ნიკა მემანიშვილი დირიჟორობდა.

კონცერტის შემდეგ უკვე ბევრი ამბობდა, რომ დიდი მუსიკოსების სამყაროში შესვლამდე ცაგარელს დიდი გზა გასავლელი არ დარჩენია...

არადა იყო დრო, როცა ალტის სიმებს ჩუმად წყვეტდა, ფეხბურთი უფრო მოსწონდა და ... და როგორც ხდება ხოლმე, თითქმის ყველა ცნობილი მუსიკოსის ცხოვრებაში, დასაწყისში... მასაც მიანიჭეს იარლიყი, - "ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი". მერე? მერე რა მოხდა არ ახსოვს. ფაქტია, რომ რაღაც უჩინარი მომენტიდან ყველაფერი შეიცვალა. კონსერვატორიაში ის საუკეთესო გახლდათ და ამას თავად აღწევდა. მის ბავშვობაში ალტზე ისინი უკრავდნენ, ვისაც ვიოლინოს კლასში იწუნებდნენ. ალტი თითქოს მეორეხარისხოვანი ინსტრუმენტი გახლდათ ვიოლინოსთან მიმართებაში. მაგრამ მეოცე საუკუნიდან ევროპაში ალტისადმი ზერელე დამოკიდებულება აღარ იგრძნობოდა. თანამედროვე კლასიკურმა მუსიკამ სწორედ ალტის ხმოვანებას მიანიჭა უპირატესობა.

ალტი XX საუკუნემდე ორკესტრის, კამერული ანსამბლების ინსტრუმენტად ითვლებოდა. მაგრამ ახალ საუკუნეში ვითარება შეიცვალა. ჩვენს ეპოქაში დაწერილი მუსიკის 60 პროცენტი ალტისთვისაა. ამ ფაქტს გიორგი თავისებურად ხსნის.

"ალტი, - ეს არის ჟღერადობა ვიოლინოსა და ჩელოს შორის. დიაპაზონი არც ისეთი მაღალი აქვს როგორც ვიოლინოს და არც ისეთი დაბალი, როგორც ჩელოს, ანუ მე ვფიქრობ, რომ XX საუკუნეში, რაღაც მოვლენებიდან გამომდინარე, უპირატესობა მის სევდიან ჟღერადობას მიანიჭეს. ტენდენციაც ისეთია, ექსპორესიონისტებიდან დაწყებული დღემდე ალტის ხმას ყველაზე მეტად "ენდობიან". ალბათ იმიტომ, რომ მისი ხმა ადამიანისას ჰგავს, მისი ბგერა ადამიანის ბგერის მსგავსია.□

მისი იმედი მართლაც ბევრს აქვს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სულხან ნასიძის კონცერტი დაუკრა და მუსიკის მოყვარულ თბილისელებს აღფრთოვანების წუთები აჩუქა. თუმცა გამოცდილი ყურისთვის საკმარისია რამდენიმე წუთი პირველი ბგერიდან, რათა მისი ირწმუნონ, მისი სჯერა ალბათ ყველას, ვისაც მოსმენილი აქვს როგორ ესაუბრება საკუთარ ინსტრუმენტს, როგორ განიცდის მის თითოეულ ბგერას და როგორი ძლიერი ენერგეტიკით დგას ორკესტრის ცენტრში... სწავლისა და გამოცდილებათა დაგროვების ეტაპი ჯერ არ დასრულებულა. თუ გავითვალისწინებთ მის ხასიათს, - სიმშვიდესა და მოთმინებას, შემეცნებას მუსიკაში არასდროს დაასრულებს. გიორგი ცაგარელი, ის დეტმოლდის მოცარტის პროსპექტს ალბათ ძალიან მალე გასცდება.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## ცხენის აღკაზმულობა ლაგამი და საყბეური

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა-ბორბლის შექმნა, უკვე რამოდენიმე საუკუნეა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებას განსაზღვრავს. ოთხთვალა ეტლმა გადატრიალება მოახდინა მოძრაობის საშუალებებში და დიდი წვლილი შეიტანა ქალაქური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

ძვ.წ. II ათასწლეული მღელვარე პერიოდია ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ეგვიპტეში ეს არის აზიური ტომების, ჰიქსოსების შეჭრა (ძვ.წ.1700), რომლებმაც იქ ცხენი შეიყვანეს; წინა აზიაში ეს არის ინდოირანელების გამოჩენის ეპოქა, როდესაც მითანის სახელმწიფოში ცხენი და საბრძოლო ეტლები ჩნდება; მცირე აზიაში ხეთების სამეფოს აღმავლობა ბრწყინვალე თავისებურ კულტურას უკავშირდება, რომლის დროსაც ძველ აღმოსავლეთში პირველად ცხენის კულტი დამკვიდრდა.

ცხენის დომესტიკაცია განსაკუთრებით მაღალ დონეს ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღწევს, როცა ცენტრალურ ამიერკავკასიაში არქეოლოგიური კულტურა ყალიბდება, რომლის მატარებელი საზოგადოება სოციალური თვალსაზრისით საგრძნობლად მაღლა დგას კავკასიის სინქრონულ მოსახლეობაზე.

ლაგამი ცხენის აღკაზმულობის ძირითადი ნაწილია, რომელიც დასამორჩილებლად პირში ამოედებოდა ცხენს. უძველეს ხანაში ამ მიზნით ტყავის თასმა ან თოკი იხმარებოდა. ბრინჯაოს ლაგამი ძვ.წ. II ათასწლეულში ვრცელდება. ეს იყო ჯერ მთლიანი, შემდეგ კი ორნილადი ღერო, რომელსაც ბოლოებზე სხვადასხვა ფორმის საყბეურები ჰქონდა წამოცმული. ლაგმის გამოყენებით განსხვავებული ძალით ხდება ცხენზე ზემოქმედება. საყბეურები ფორმის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია საყბეურის ტანი და განიხილება როგორც გეომეტრიული სხეული, რომელიც ვერტიკალურად არის განლაგებული. უძველესი ტიპის ბრინჯაოს ლაგმები წინა აზიის ტერიტორიიდან მომდინარეობს და ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება (პალესტინა, სირია, ეგვიპტე, ანატოლია)

სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ლაგამი ძვ.წ. XIV ს-დან ჩნდება. თავდაპირველად იგი ბრინჯაოსაგან მზადდებოდა. ძვ.წ. I ათასწლეულში კი რკინის ლაგამი შემოდის ხმარებაში. ამ დროიდან ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლომდე ისინი თანაარსებობენ.

1970წ, თბილისში, დიღმის მასივში, თრელის სამაროვანზე გაითხარა ყორღანი (N16) რომელიც ძვ,წ, VIII ს. მიწურულითა და VIIს. I ნახევრით თარიღდება და რომლის ფართობიც 70კვ.მ-ს აღწევდა. ყორღანი თანადროულ ძეგლებს შორის ინვენტარის მრავალრიცხოვნებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ დადასტურებულ სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა 15 ცალი ლაგამი და მათთან დაკავშირებული საყბეურები. ათი ლაგამი ხუთ ჯგუფად წყვილ-წყვილად იდო, რაც გვავარაუდებინებს ,რომ დაკრძალვის ეს რიტუალი ეტლში შებმული ცხენების იმიტაციას წარმოადგენდა. სრულიად უნიკალურია აქ დადასტურებული ცხენის თავის სტილიზებული გამოსახულებით დაბოლოებული საყბეურის მქონე ბრინჯაოს ორწილადი ლაგმები. ამ ნივთის ანალოგები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ლაგმის თოთოეული ნაწილი საყბეურთან ერთად არის ჩამოსხმული და ერთმანეთთან ცხელი ჭედვითაა დაკავშირებული. ლაგმებთან ერთად ამ ყორღანში ცხენის აღკაზმულობის და ეტლთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა... ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხენის საკისრე რგოლები და მათთან დაკავშირებული ზარაკები, ცხენის საშუბლე, ეტლის შტანდარტები ცხენის თავის გამოსახულებით.. ეს უკანასკნელი მსგავსებას წინა აზიაში აღმოჩენილ ზივიეს განძის სტანდარტებთან პოულობს.

თრელის სამაროვანზე გათხრილ N65 სამარხში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ბრინჯაოს აბზინდის მიხედვით სავარაუდოა, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში მხედრიონს უკვე ძვ.წ. XIIIს-დან ეყრება საფუძველი.

ძეგლი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში.

*ირინე სულთანიშვილი*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# ობამას ყველაზე ცნობილი პორტრეტის ავტორი დააკავეს

ამერიკელი მხატვარი შეპარდ ფეირი (Shepard Fairey), რომელიც ავტორია ბარაკ ობამას პორტრეტისა, ბოსტონში იმ ობიექტების დახაზვისთვის დაადანაშაულეს, რომლებიც კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში იმყოფებიან. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო - Associated Press ავრცელებს.

38 წლის ფეირი გზაში აიყვანეს - ის ბოსტონის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტში მიდიოდა, სადაც ამზადებდა თავის პირველ პერსონალურ გამოფენას სახელწოდებით □მოთხოვნა და შეთავაზება□. მალე ფეირი თავდებით გამოუშვეს, ამისთვის გაღებული თანხის რაოდენობა კი, არ სახელდება. ამ საქმის სასამართლო განხილვა დღეისათვის არის დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ ფერი, რომელიც საკუთარ თავს □ქუჩის მხატვარს□ ეძახის, მსგავსი ბრალდებით აქამდეც არაერთხელ დაუკავებიათ. ფერის მიერ შესრულებულ ობამას პორტრეტს ფართოდ იყენებდნენ აშშ-ს მომავალი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიისას. 20 იანვარს, ობამას ინაუგურაციის მოახლოებისას, ნახატი საზოგადოებას ვაშინგტონის პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში წარუდგინეს. სააგენტო Associated Press მიიჩნევს, რომ ამ ნამუშევრის შესრულებისას მხატვარმა გამოყენა კადრი, რომელიც ამ სააგენტოს დაკვეთით, ფოტოგრაფმა მენი გარსიამ 2006 წელს გადაიღო. სააგენტო მხატვრისგან მათი ფოტოს გამოყენებისთვის კომპენსაციას მოითხოვს, ამასთან სურს, რომ ფერის მიერ შესრულებული ნამუშევრის ექსპონირებისას მან ყოველთვის მიუთითოს, რომ ის Associated Press-ის საკუთრებად მიჩნეული კადრის საფუძველზე შეიქმნა. ფერის ადვოკატები კი, თავის მხრივ, □კეთილსინდისიერი გამოყენების□ შემთხვევას ითვალისწინებენ, რომელიც ზოგჯერ საავტორო უფლებებით დაცული მასალების გამოყენების უფლებას იძლევა.

# □ოსკარზე□ ნომინირებული ფილმი სპექტაკლად იქცა

პარიზის თეატრში ღია ცის ქვეშ - Theatre Ouvert შედგა პრემიერა სპექტაკლისა - Entre les murs ფრანსუა ბეგოდის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. ამის შესახებ ფრანგული გაზეთი Le Monde იუწყება. 2008 წლის დასაწყისში ეს წიგნი ლორან კანტის მიერ იყო ეკრანიზებული. მისმა ფილმმა, სახელწოდებით □კლასი□(Entre les murs, The Class) კანის ფესტივალზე □ოქროს პალმის რტო□ დაიმსახურა, ახლა კი ნომინირებულია □სეზარისა□და □ოსკარის□პრემიებზე (საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე). ბეგოდოს ნახევრადბიოგრაფიულ წიგნში აღწერილია ერთი წელი ფრანგული ენის მასწავლებლის და ემიგრანტთა რაიონებში მცხოვრები მოზარდების ცხოვრებიდან. ფილმისგან განსხვავებით, სადაც დაკავებულნი არიან მხოლოდ ახალბედები - პარიზის ორი ათეული მოსწავლე და თავად ფრანსუა ბეგოდო, სპექტაკლში რვა პროფესიონალი მსახიობი თამაშობს.

## სარეკლამო განცხადება
## მესამე აუქციონი

□გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ□საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე სს □ქუთაისის ავტოქარხნის□გაკოტრების მმართველი **აცხადებს მესამე აუქციონს**, მოვალის სს □ქუთაისის ავტოქარხნის□ქონების გაყიდვის მიზნით.

მოვალის იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №88.

მოვალის ქონება მდებარეობს ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №88-ში.

მოვალის ქონებას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სასაქონლო მატერიალური მარაგი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: □ექსპედიციის□, □სავაჭრო სახლისა□და □ავტოაგრეტასერვისის□100%-იანი წილი.

სულ საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 10 325 654 (ათი მილიონი სამასოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდათოთხმეტი) ლარს.

ქონების საწყისი გასაყიდი ფასია: 10 325 654 (ათი მილიონ სამასოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდათოთხმეტი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია გადაიხადოს □ბე□, რომლის ოდენობა შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10%-ს.

მინიმალური ბიჯი შეადგენს 50 00 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადის მიღება წარმოებს განმეორებითი აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 2009 წლის 22 თებერვლის 13 საათამდე.

2009 წლის 22 თებერვალს, 13 საათზე განაცხადების მიღება შეწყდება.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა (□მონაწილემ□) გაკოტრების მმართველის სახელზე უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი;

ბ) სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე - **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის 33050001; მფო 220101757; ბანკის კოდი 204856263** - □ბე□ს თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) □ბ□პუნქტში მითითებულ ანგარიშზე აუქციონის მონაწილის ბილეთის შეძენის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

დ) განაცხადის შემტანი ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის მოწმობის ქსეროასლი (აუქციონის დღეს თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

განაცხადის წარმომადგენლის მეშვეობით შეტანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება.

□მონაწილეს□აუქციონში მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციისთანავე გადაეცემა აუქციონში მონაწილის ბილეთი და იღებს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება □მონაწილე□, რომელიც გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე - **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის 33050001; მფო 220101757; ბანკის კოდი 204856263** - ჩარიცხოს აუქციონზე მის მიერ დასახელებული თანხა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გაკოტრების მმართველს.

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითრის) გაკოტრების მმართველთან წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

აუქციონში გამარჯვებულს მის მიერ □ბეს□სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება აუქციონზე დასახელებული თანხის ოდენობაში.

□მონაწილეებს□, რომლებმაც ვერ შეიძინეს აუქციონზე ქონება - □ბეს□თანხა დაუბრუნდებათ.

თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების შესაძენად აუქციონში მის მიერ დასახელებულ თანხას, მასთან არ გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება და გადახდილი □ბე□არ დაუბრუნდება.

ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

გასაყიდ ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. 88-ში, ყოველდღე 10 საათიდან 17 საათამდე, ტელეფონები: 8(231)-1-22-12; 897-477-700**

**აუქციონი გაიმართება 2009 წლის 22 თებერვალს, 14 საათზე; მისამართი: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 88, სს □ქუთაისის ავტოქარხნის□ადმინისტრაციის შენობა, მე-3 სართული.**

სს □ქუთაისის ავტოქარხნის□გაკოტრების მმართველი

## განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება ფ/პ შოთა გუნიას (პირადი №26001005655; მცხოვრები ქ. თბილისი, ქინძმარაულის 2 შეს. №1, ბ. 24) ქ. ქუთაისში, ირ. აბაშიძის ქ. №32 მდებარე ავტოსაჯარიმო ტერმინალ "222"-ის სამოქმედო ტერიტორიაზე დალუქულ მდგომარეობაში განთავსებული ყადაღადადებული ქონება, კერძოდ, გარჩეული თხილი 4120 კგ. ქონების საწყისი ღირებულება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამსახურის შეფასებით შეადგენდა 1 კილოგრამი 7,0 ლარს. ხოლო განმეორებით აუქციონზე 1 კილოგრამის ფასი განისაზღვრა 4,0 ლარის ოდენობით.

განმეორებით აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 10 თებერვალს, დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობა.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

მსურველები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად 2009 წლის 10 თებერვლამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ან ტელეფონზე: 26-17-62.

# სპორტი

## პირველი გამარჯვება



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ზირაქაშვილი ნაკრებს შეიძლება ესპანეთთან შეხვედრისთვის დაუბრუნდეს.*

ერთა თასზე ჩვენი ქვეყნის მორაგბეთა ნაკრებმა პირველი გამარჯვება იზეიმა. ეს მოსალოდნელიც იყო. ტყუილად როდი აცხადებდა "ბორჯღალოსანთა" გუნდის ხელმძღვანელობა, რომ გერმანიის ნაკრებთან თამაშს, პორტუგალიასთან მორიგი დაპირისპირების ჭრილში განიხილავდა.

ჰაიდელბერგში საქართველოს ნაკრების უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. ქართველმა მორაგბეებმა 6 ლელო გაიტანეს, მიუხედავად იმისა, რომ თამაში თავსხმა წვიმაში მიმდინარეობდა და მინდორი ატალახებული იყო. ამათგან ორი ლელო პირველ ტაიმზე მოდის, 4 კი მეორეზე. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში მსაჯმა კიდევ ორი ლელო არ ჩაგვითვალა.

მატჩი კი მასპინძელთა აგრესიული გამოხდომებით დაიწყო. მათ პირველი ჯარიმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ამ შანსის გამოყენება ვერ შეძლეს. თუმცა რამდენიმე წუთში ჩვენი დაცვის შეცდომით ისარგებლეს და ბრირლიმ ლელო გაგვიტანა. ამან დიდა იმოქმედა ერთა თასის მფლობელი "ბორჯღალოსნების" თავმოყვარეობაზე და ტიმ ლეინის გუნდმაც გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა მასპინძლები.

ჩხიკვაძემ შერკინების ძალისხმევა გამოიყენა და მეტოქის ჩათვლის მოედანთან 5 მეტრში დანიშნული ჯარიმა, შერკინების მიძალების შემდეგ ლელოდ აქცია - 5:5. პირველი ნახევრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე უხეშობისთვის მსაჯმა გერმანელი კასტენი გაასინბინა და საქართველოს ნაკრებმა დაწინაურება მოახერხა. თავი დავით ზირაქაშვილმა გამოიჩინა. სამწუხაროდ ლელოს ავტორმა ვიდემანთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო და მინდორი ნაადრევად დატოვა. ზირაქაშვილი პორტუგალიასთან მატჩს გამოტოვებს.

მეორე ტაიმში გერმანელებმა კიდევ ერთხელ სცადეს ბედი, მაგრამ მალევე მიხვდნენ რომ არაფერი გამოუვიდოდათ და საკუთარი ჩათვლის მოედნის დაცვაზე გადავიდნენ, რაც თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გამოუდიოდათ კიდეც, თუმცა კლასმა და ქართველი მორაგბეების კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი გაიტანა. სტუმრებმა კიდევ 4 ჯერ გადაკვეთეს გერმანელთა ჩათვლის მოედანი და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს - 38:5.

"პირველი ტაიმში რამდენიმე შეცდომა დავუშვით. ბურთი გვივარდებოდა, რაშიც თავისი წვლილი ამინდმაც შეიტანა. გერმანელთა მხრიდან ასეთი მედგარი წინააღმდეგობა მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის. პირველივე ტაიმიდან ვიგრძენით, რომ ფიზიკური მომზადება გადაწყვეტდა ყველაფერს. ამ მხრივ მართლაც საუკეთესოდ გამოვიყურებოდით. თამაშის ბოლო ოც წუთში დადებული ოთხი ლელო და ამდენივე გარდასახვა, ვფიქრობ კარგი შედეგია - განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისში პორტუგალიის წინააღმდეგ გამართავს. მატჩს 14 თებერვალს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი 16 საათზე უმასპინძლებს.

**გერმანია - საქართველო 5:38**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე / გოდერძი შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ილია ზედგინიძე, კახა უჩავა, გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, მამუკა გორგოძე.

**6 ლელო:** ჩხიკვაძე, ზირაქაშვილი, გორგოძე (2), მაჩხანელი, კაჭარავა.

**4 გარდასახვა:** მალაღურაძე.

ესპანეთი - რუმინეთი 10:19

პორტუგალია - რუსეთი 14:18

## პლატინი ცვლილებებს მოითხოვს

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი აცხადებს, რომ მოქმედი კანონები, რომლითაც სატრანსფერო ბაზარი რეგულირდება, სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს. ფრანგის განრისხება გამოიწვიეს "მანჩესტერ სიტის" მფლობელებმა, რომლებიც კაკაში 150 მილიონს იხდიდნენ.

"ეს სასაცილოა. 150 მილიონად შეიძლება იყიდო თვითმფრინავი, იახტა, ფეხბურთელში კი ასეთი თანხის გადახდა სისულელეა. ფიფას უახლოეს სხდომაზე მინდა ეს საკითხი განვიხილოთ. აუცილებელია სტარანსფერო კანონების შეცვლა. გუნდებმა ფეხბურთელში მხოლოდ ის თანხა უნდა გადაიხადონ, რომელსაც თავად შოულობენ, - ამბობს პლატინი.

უეფას პრეზიდენტი ასევე შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ "მილანმა" დევიდ ბექჰემი სამთვიანი იჯარით აიყვანა.

"მილანმა" დევიდ ბექჰემი სამი თვით ინათხოვრა. ეს საერთოდ მიუღებელია. თუ ასე გავაგრძელეთ, სულ მალე ფეხბურთელებს ორი-სამი თამაშით ინათხოვრებენ და შესაძლოა კომიკურ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ "ჩელსი" და "მანჩესტერი". ორივე ეს კლუბი სწორედ ერთი თამაშისთვის ინათხოვრებს ფეხბურთელებს. აუცილებელია რაიმე ვიღონოთ. ჯერ არ მომიფიქრებია, რა არის საჭირო, რომ ასეთი რამ გამოირიცხოს, მაგრამ აუცილებელია ამ საკითხზე ახლავე დავიწყოთ მსჯელობა", - თქვა პლატინიმ.

ამას წინათ პლატინიმ მხარი დაუჭირა ფიფას პრეზიდენტს, რომელსაც სურს, რომ ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირზე ჭაბუკთა გუნდებმა იასპარეზონ. ამჟამად ოლიმპიადაზე 21 წლამდელთა ნაკრები გუნდები მიემგზავრებიან და მათ სამი ასაკოვანი ფეხბურთელის დამატების უფლება აქვთ. ბლატერის აზრით, ამ სამი ფეხბურთელის დამატება უნდა აიკრძალოს და ასაკობრივი ბარიერი 19 წლამდე დაიწიოს.

### ფინანსური კრიზისი "ვალენსიაში"

"ვალენსიას" ნახევარმცველი ხოაკინი აცხადებს, რომ ფეხბურთელებს არ აუღიათ ბოლო თვის ხელფასი. როგორც გუნდის კაპიტანს კარლოს მარჩენას კლუბის ფინანსურმა დირექტორმა განუცხადა, დავალიანება დაფარული იქნება კვირის ბოლომდე. თუმცა ხოაკინი ცდილობს ამაზე არ იფიქროს და კონცენტრირება მოახერხოს თამაშებზე. მას აღელვებს ის, რომ ბოლო მატჩებში გუნდის დაცვა საკმაოდ ცუდად გამოიყურება. ბოლო 4 შეხვედრაში "ვალენსიამ" საკუთარ კარში 11 ბურთი მიიღო. "ბოლო ხანს, როგორც წესი, ჩვენი თამაში ლატარეად იქცევა ხოლმე, იმის წყალობით, რომ დაცვის ორგანიზებას ვერ ვახერხებთ. არ შეიძლება მოწინააღმდეგეს ასეთი უპირატესობა მივცეთ. თუკი თამაშისას ამას გავითვალისწინებთ, შედეგიც აუცილებლად მოვა," - ამბობს ხოაკინი.

### სტოილოვის რჩეულები

ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებულმა სტანიმირ სტოილოვმა იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, რომლებიც 11 თებერვალს შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩისთვის მოემზადებიან. სტოილოვის სიაში ხუთი ის ფეხბურთელი მოხვდა, რომლებსაც ბულგარელთა ექს-თავკაცი პლამენ მარკოვი სრულ იგნორირებას უკეთებდა. ეს უკანასკნელი თანამდებობიდან მას შემდეგ დაითხოვეს, რაც ბულგარეთის ნაკრებმა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სამი მატჩი ფრედ დაასრულა (მათ შორის საქართველოსთან - 0:0), სერბეთთან ამხანაგური შეხვედრა კი სამარცხვინოდ 1:6 წააგო. მარკოვის მიერ შერისხულნი ელინ ტოპუზაკოვი, ილიან სტოიანოვი, ივაილო პეტკოვი, დიმიტარ ტელკიისკი და ვალერი დომოვჩიისკი იყვნენ, რომელთაც სტოილოვმა კიდევ ერთი შანსი მისცა. "ეს ხუთეული ყველასაგან მივიწყებული გახლდათ, არადა, მათი საქმეში ნახვა საინტერესო უნდა იყოს", - განაცხადა სტოილოვმა. მე-8 შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთის ნაკრები 3 ქულით მე-3 ადგილზე იმტოფება, საქართველო 2 ქულით მეექვსეა, ხოლო ლიდერ იტალიას 10 ქულა გააჩნია.

**მეკარეები:** გ.პეტკოვი ("ლევსკი"), ივანკოვი ("ბურსასფორი", თურქეთი).

**მცველები:** მილანოვი ("ლევსკი"), ტოდოროვი, კოტევი (ორივე - ცსკა), მანოლევი, ი.პეტკოვი (ორივე - "ლიტექსი"), ტოპუზაკოვი ("ჰაპოელი", ტელ-ავივი, ისრაელი), სტოიანოვი ("სანფრეჩე-ხიროსიმა", იაპონია).

**ნახევარმცველები:** ს.პეტროვი ("ასტონ ვილა", ინგლისი), ანგელოვი ("კოტბუსი", გერმანია), დიმიტროვი ("მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა), გეორგიევი ("ტერეკი", რუსეთი), ტელკიისკი ("ჰაპოელი", ტელ-ავივი, ისრაელი).

**თავდამსხმელები:** ბერბატოვი ("მანჩესტერი", ინგლისი), რანგელოვი ("კოტბუსი", გერმანია), დომოვჩიისკი ("ჰერტა", გერმანია), პოპოვი ("ლიტექსი").

### "ბორუსიამ" ჰუმელსი იყიდა

დორტმუნდის "ბორუსიამ" მიუნხენის "ბაიერნისგან" 20 წლის მცველი მატს ჰუმელსი, რომელიც შარშან იანვარში წელიწადნახევრით იქირავა, 4 მილიონ ევროდ იყიდა. ჰუმელსმა "დორტმუნდთან" კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულამდე გააფორმა. იქ ყოფნის ერთი წლის განმავლობაში 191 სმ სიმაღლის ჭაბუკმა მცველმა 25 ბუნდესლიგური შეხვედრა ჩაატარა - 13 გასულ, ხოლო 12 მიმდინარე სეზონში - და "ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. გუნდის ცენტრალურ დაცვას ის თავისკბილა სერბ ნევენ სუბოტიჩთან ერთად ამაგრებს. ჰუმელსი ბოლო დროის განმავლობაში არ მალავდა, რომ დორტმუნდში დარჩენა სურდა. "ბაიერნიც" მის ამ სურვილს მაინცდამაინც არ შეწინააღმდეგებია. "მატსის წინსვლით ძალზე კმაყოფილები ვართ - განაცხადა ამ დღეებში მიუნხენური კლუბის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემ - მაგრამ ლუსიოს, დემიკელისის, ვან ბუიტენისა და ბრენოს სახით ოთხი უმაღლესი დონის მცველი გვყავს, რომელთან ჭიდილიც საწყის თერთმეტეულში მოსახვედრად მას საკმაოდ გაუჭირდებოდა. ამის გათვალისწინებით, ჩვენ დავთანხმდით იმას, რომ ის "ბორუსიაში" დარჩენილიყო." სა-ამ-კვირაო მატჩში, რომელშიც "რეკორდმაისტერი" შინ სწორედ "ბორუსიას" მასპინძლობს, ჰუმელსი მონაწილეობას ვერ მიიღებს - იანვარში ტრავმირებული კოჭის გამო მას უქმობა კიდევ რამდენიმე კვირა მოუწევს.

### მსხვილიძე ˝სერბეთში ითამაშებს

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრმა რატი მსხვილიძემ სერბეთის "მეტალოპლასტიკასთან" კონტრაქტი ორწელიწადნახევრით გააფორმა. ამის შესახებ თავად მსხვილიძემ განაცხადა:

"თავდაპირველად "მეტალოპლასტიკას" ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, რომ გუნდში ერთი წლის განმავლობაში დავრჩებოდი, მაგრამ შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, მათ ძალიან კარგი პირობები შემომთავაზეს და უფრო გრძელვადიანი კონტრაქტის დადება გადავწყვიტე". სერბეთის ეროვნული ჩემპიონატი 15 თებერვალს დაიწყება და მასში 16 გუნდი მონაწილეობს. "მეტალოპლასტიკა" მესამე ადგილზეა და 4 ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ "კოლუმბარას" და მეორეადგილოსან "პარტიზანს".

### ცქიტიშვილი უკვე ახალ გუნდში ვარჯიში დაიწყო

მეორე ბუნდესლიგური "ვეენ ვისბადენის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბის მესამე ახალწვეული - ქართველი ლევან ცქიტიშვილი პარასკევიდან უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

"ძალიან მიხარია, ისევ გერმანიაში რომ ვარ. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა "ვეენს" ლიგაში დარჩენაში დავეხმარო" - აღნიშნა კლუბის ვებგვერდთან საუბარში საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა.

### რობენი ნაკრებში დაბრუნდა

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბარტ ვან მაარვიკმა იმ 21 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომელთაგანაც ოთხშაბათს, ტუნისთან დასაპირისპირებელი შემადგენლობის არჩევა მოუწევს. "ნარინჯისფერთა" რიგებში კვლავ დაბრუნდნენ "რეალის" შემტევი არიენ რობენი და "ფეიენოორდის" მეკარე ჰენკ ტიმერი. ტრავმების გამო, მათ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორ-ორი მატჩის გამოტოვება მოუწიათ.

ტუნისთან მატჩისთვის ჰოლანდიელები შემდეგი შემადგენლობით მოემზადებიან:

**მეკარეები:** ჰენკ ტიმერი ("ფეიენოორდი"), მაარტენ სტეკელენბურგი ("აიაქსი");

მცველები: ჯონ ჰეიტინგა ("ატლეტიკო", მადრიდი), იორის მატიისენი ("ჰამბურგი", გერმანია), ანდრე ოოიერი ("ბლექბერნი", ინგლისი), დირკ მარსელისი (პსვ), ედსონ ბრაადფეიდი ("ტვენტე"), ნიკ ვან დერ ველდენი ("ალკმაარი");

**ნახევარმცველები:** ვესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი (ორივე "რეალი", ესპანეთი), იბრაჰიმ აფელაი (პსვ), მარკ ვან ბომელი ("ბაიერნი", გერმანია), ნაიჯელ დე იონგი ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), დემი დე ზეუვი, დავიდ მენდეს და სილვა, სტიინ სხაარსი (სამივე "ალკმაარი");

**თავდამსხმელები:** რაიან ბაბელი, დირკ კუიტი (ორივე "ლივერპული", ინგლისი), რობინ ვან პერსი ("არსენალი", ინგლისი), კლას იან ჰუნტელაარი, არიენ რობენი (ორივე "რეალი", ესპანეთი).

### დელ ბზოსკეს სიაში ორი დებიუტანტია

11 თებერვალს ესპანეთისა და ინგლისის ეროვნული ნაკრებები სევილიაში ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. ევროპის ჩემპიონთა თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ იმ ფეხბურთელთა სია გაამჟღავნა, რომლებსაც მომავალი მატჩისთვის გუნდში უხმო.

ესპანელმა სპეციალისტმა ინგლისელებთან დასაპირისპირებლად 22 მოთამაშე შეიგულა, მათ შორის ორი ისეთი ფეხბურთელი მოხვდა, რომლებსაც ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორმა აქამდე ერთხელაც არ მოურგიათ. ესენი არიან პრიმერა დივიზიონის ლიდერის, "ბარსელონას" წევრები - მცველი ხერარდ პიკე და ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი.

აღსანიშნავია, რომ დელ ბოსკემ ყველაზე მეტი, 5-5 ფეხბურთელი სწორედ კატალონიური გრანდიდან და აგრეთვე, ინგლისური "ლივერპულიდან" მიიწვია, "რეალის" კაპიტანი რაული კი, კვლავ ნაკრებს მიღმა დატოვა. მთლიანობაში კი, დელ ბოსკემ ინგლისთან სპარინგისთვის შემდეგი მოთამაშეები გამოიძახა:

**მეკარეები:** იკერ კასილიასი ("რეალი"), ხოსე რეინა ("ლივერპული", ინგლისი);

**მცველები:** რაულ ალბიოლი, კარლოს მარჩენა (ორივე "ვალენსია"), ალვარო არბელოა ("ლივერპული"), ხუან კაპდევილა ("ვილიარეალი"), კარლეს პუიოლი, ხერარდ პიკე (ორივე "ბარსელონა"), სერხიო რამოსი ("რეალი");

**ნახევარმცველები:** ანდრეს ინიესტა, ხავი, სერხიო ბუსკეტსი (ყველა "ბარსელონა"), დავიდ სილვა ("ვალენსია"), სანტი კასორლა, მარკოს სენა (ორივე "ვილარეალი"), ალბერტ რიერა, ხაბი ალონსო (ორივე "ლივერპული", ინგლისი);

**თავდამსხმელები:** დავიდ ვილია ("ვალენსია"), დანიელ გუისა ("ფენერბაჰჩე", თურქეთი), ფერნანდო ტორესი ("ლივერპული", ინგლისი), ფერნანდო ლორენტე ("ბილბაო").

# წინასაირლანდიო ტური

## ვიტ ჯორჯიამ ლიდერობა განიმტკიცა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის განახლება საქართველოს ნაკრების შესარჩევი ეტაპის მატჩისწინა პერიოდს დაემთხვა. მოგეხსენებათ, ეროვნული გუნდის თავკაცს, არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს აქცენტი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე აქვს გაკეთებული. ადგილობრივი კლუბებიდან ათამდე ფეხბურთელია ნაკრებში გამოძახებული. ძირითადი დატვირთვა "ზესტაფონზე", "დინამოზე" და "ვიტ ჯორჯიაზე" მოდის. შესაბამისად, ამ კლუბებს შესუსტებული შემადგენლობით მოუწიათ ასპარეზობა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით "დინამოს" ყველაზე მეტად გაუმართლა: ნაკლული ჩემპიონატის გამო დინამოელებს (შეგახსენებთ, რომ წელს 11-0გუნდიანი ჩემპიონატია და ტურში ერთ-ერთ კლუბს დასვენება უწევს) სწორედ გუშინდელ ტურში მოუხდათ დასვენება.

როგორც სეზონის დასაწყისს შეეფერება, ქართულმა გუნდებმა საკმაოდ მძიმე სტარტი აიღეს. ეს "სიმძიმე" განსაკუთრებით შედეგიანობაზე აისახა, თორემ სხვა მხრივ არალოგიკური და სენსაციური არაფერი მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ტურის 5 თამაშში მხოლოდ 5 გოლი, ანუ ერთ მატჩში საშუალოდ 1 გოლი გავიდა.

ყველაზე "შედეგიანი" შეხვედრა გუშინ, ბორჯომში შედგა, სადაც ფინანსური კრიზისის ზღურბლზე მყოფი ადგილობრივი "ბორჯომი" საქართველოს ექსჩემპიონ რუსთავის "ოლიმპს" დაუპირისპირდა. მატჩი სტუმართა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. თუმცა, მორიგი სამი ქულის მისათვლელად რუსთაველებს საკმაო ოფლისღვრა დასჭირდათ. პირველი ტაიმი ფრედ, 1:1 დასრულდა. 24-ე წუთზე ჩხეტიანის შედეგიანი დარტყმის შემდგომ სტუმრები დაწინაურდნენ, თუმცა სულ რაღაც ათიოდ წუთში პავლიაშვილმა საპასუხო გოლის გატანა მოახერხა.

შეხვედრის მეორე ნახევარში უკვე რუსთაველების სრული დომინირება აღინიშნა, თუმცა უპირატესობა ერთზე მეტ გატანილ გოლში აღარ გადაზრდილა. გამარჯვების გოლი 55-ე წუთზე ჩიკვილაძემ გაიტანა. ეს ვარლამ კილასონიას ხელმძღვანელობით "ოლიმპის" მიერ ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მეთერთმეტე შეხვედრაა, რომელთაგან რუსთაველებმა მხოლოდ სამი მატჩი დაასრულეს ფრედ, დანარჩენ რვაში კი გამარჯვება მოიპოვეს. ამ მორიგი წარმატების შემდგომ "ოლიმპი" რეალურად ჩაერთო ოქროსმაძიებელთა რიცხვში.

პირველობის მსურველთა რაოდენობა კი გაიზარდა, მაგრამ ლიდერ "ვიტ ჯორჯიას", რომელსაც უახლოეს მდევარ "დინამოსთან" საკმაოდ კომფორტული, 6-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა, ეს არაფრად ადარდებს. "ვიტ ჯორჯია", რომელიც ისედაც საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე სტაბილურ გუნდად მიიჩნეოდა, მიმდინარე სეზონში შესანიშნავად თამაშობს. ამჯერადაც, ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა მორიგი მინიმალურსხვაობიანი გამარჯვება მოიპოვეს. გორში გამართულ შეხვედრაში "ვიტ ჯორჯიამ" 42-ე წუთზე ლიპარტიას მიერ გატანილი გოლით 1:0 დაამარცხა ახალციხის "მესხეთი" და "დინამოსთან" უპირატესობა 9 ქულამდე (თუმცა ჩემპიონს ორი შეხვედრა თადარიგში აქვს) გაზარდა.

მოულოდნელი და ერთგვარად სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ბოლნისში, სადაც ადგილობრივმა "სიონმა" გამოკვეთილ აუტსაიდერს, ცხინვალის "სპარტაკს" უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, თან არაერთი საგოლე მომენტიც შექმნეს, ვერცერთხელ ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება და უგოლოდ დაშორდნენ შიდაქართლელებს.

კიდევ ერთ მატჩში არ გასულა გოლი: გლდანში, "ამერის" სტადიონზე "გაგრას" და "ლოკომოტივის" შეხვედრა 0:0 დასრულდა.

გაიმარჯვა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლმა "ზესტაფონმა". გია გეგუჩაძის შეგირდები ზუგდიდს ესტუმრნენ და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხეს მეტოქე. ეს ერთადერთი გოლი სტუმართა თავდამსხმელმა და ბომბარდირმა, გელაშვილმა შეხვედრის 47-ე წუთზე გაიტანა.

**მე-18 ტური**

| | | |
|---|---|---|
| მგლები - ზესტაფონი | | 0:! |
| ვიტ ჯორჯია - მესხეთი | | 1:0 |
| გაგრა - ლოკომოტივი | | 0:0 |
| ბორჯომი - ოლიმპი | | 1:2 |
| სიონი - სპარტაკი | | 0:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30:10 | 40 |
| დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32:12 | 31 |
| ოლიმპი | 16 | 7 | 7 | 2 | 18:10 | 28 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 15:9 | 27 |
| სიონი | 16 | 6 | 7 | 3 | 17:10 | 25 |
| ლოკომოტივი | 16 | 7 | 2 | 7 | 20:15 | 23 |
| მგლები | 17 | 5 | 3 | 9 | 16:23 | 18 |
| მესხეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:24 | 16 |
| გაგრა | 17 | 4 | 4 | 9 | 13:26 | 16 |
| ბორჯომი | 16 | 2 | 5 | 9 | 15:35 | 11 |
| სპარტაკი | 15 | 2 | 2 | 11 | 11:26 | 8 |

# ამერიკული უარი

ამერიკულ გამოცემა The Los Angeles Times-ის ინფორმაციით კლუბმა ძლოს ანჯელეს გალაქსიმ□უარი განაცხადა გაყიდოს დევიდ ბექჰემი იტალიურ □მილანში□. ამის შესახებ გაზეთის ჟურნალისტს კომპანია AEG-ის ხელმძღვანელმა ტიმ ლეივეკემ განუცხადა, შეგახსენებთ, რომ კალიფორნიული საფეხბურთო კლუბი სწორედ კონცურს AEG-ს ეკუთვნის.

□ჩვენ მართლაც მივიღეთ □მილანისგან□ შემოთავაზება დევიდის ტრანსფერთან დაკავშირებით, მაგრამ იტალიელები მაშინათვე უარით გავისტუმრეთ,□- აცხადებს ლევეკი, რომელსაც არ დაუსახელებია თანხა, რომელიც □მილანმა□ ამერიკულ კლუბს ბექჰემში შესთავაზა, გაზეთის ინფორმაციით კი საუბარია დაახლოებით ათ მილიონ დოლარზე.



ბექსის ტრანსფერი დაბლოკეს

□მოდით ერთხელ და საბოლოოდ დავასრულოთ ეს არეულობა, რომელიც უკვე ცირკს დაემსგავსა, თუ ბექჰემს □მილანშიძ დარჩენის სურვილი აქვს და იტალიელებსაც სურთ ფეხბურთელის შეძენა, მათ ჩვენ ისეთი თანხა უნდა შემოგვთავაზონ, რომ გუნდმა და გულშემატკივარმა არ იზარალონ□, - ამბობს ლევეიკი და კონკრეტული თანხის დასახელებისგან თავს იკავებს.

შეგახსენებთვ, რომ □ბექსი□ იანვარში გადაბარგდა □მილანში□და იჯარის წესით ამ კლუბში სამი თვე უნდა გაატაროს, თუმცა ფეხბურთელს და მის ახალ კლუბს იმედანად მოეწონათ ერთმანეთი, რომ ახლა ბექემს □მილანთან□ სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება სურს. □როსონერის□ ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ყველა ღონეს იხმარს ბექჰემის შესანარჩუნებლად, თუმცა საბოლოოდ რა თანხაზე იქნება საუბარი ჯერ არავინ იცის.

გამორიცხული არაა, რომ □მილანს□, რომელიმე ვარსკვლავის გაყიდვაც დასჭირდეს. ერთ-ერთ ვარიანტად იონ გურკუფის გაყიდვა მოიაზრება, რომელიც მართალია ამჟამად □ბორდოში□თამაშობს, მაგრამ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლება □მილანს□ეკუთვნის, მეორე ვარიანტად კი უკვე რონალდინიოს გაყიდვა განიხილება, ყრაზილიელი ვარსკლავი აშკარად არ არის ფორმაში და შესაძლოა □მილანმა□: იგი □მანჩესტერ სიტიში□გაყიდოს.

### პაიკიძე ოცეულშია

ქართველი მოჭადრაკე ნაზი პაიკიძე რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მიმდინარე ფესტივალზე დამაჯერებლად ასპარეზობს და C დივიზიონში გამართული 8 ტურის შემდეგ, 5.5 ქულით 148 მონაწილეს შორის, მე-18 ადგილზე იმყოფება.

პაიკიძემ მე-7 ტურში ქულა უკრაინელ მარია მუზიჩუკს გაუყო, მერვეში კი შავი ფიგურებით რუს კრასენკოვას მოუგო და მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

განვლილი პარტიების შემდეგ 7 ქულით ერთპიროვნულად რუსი ნატალია პოგონინა ლიდერობს, რომელსაც კვალში თანამემამულეები სვეტლანა მატვეევა, მარინა რომანკო და ვალენტინა გუნინა უდგანან. ამ უკანასკნელთა აქტივში 6.5 ქულაა.

ბოლო მე-9 ტურში 15 წლის პაიკიძის მეტოქე ასევე რუსეთის წარმომადგენელი ელენა ტომილოვა იქნება.

### ალექსიძემ ძირითადში ითამაშა

უნგრულმა საფეხბურთო კლუბმა □დიო ეტომ□, რომელშიც დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე ჩაირიცხნენ, მაკედონიურ □რაბოტნიჩკისთან□ საკონტროლო მატჩი გამართა და მეტოქე 3:0 გაანადგურა.

ალექსიძემ კლუბის სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და მე-2 ტაიმში ადგილი აჰჯუპერას დაუთმო, რომელიც დუბლით გამოირჩა. რაც შეეხება ოდიკაძეს, იგი შეცვლაზე დოროგის ნაცვლად გამოჩნდა.

ქართველთა კლუბი სეზონს 7 თებერვალს განაახლებს, როდესაც უნგრეთის ლიგის თასზე □ლომბარდ პაპას□გაეჯიბრება.

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.18**
**ქ. ლანჩხუთის (გურიის რეგიონი) გზების რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 10 მარტი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი („დამკვეთი“) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***ქ. ლანჩხუთის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების*** განსახორციელებლად („სამუშაოები“).

სამუშაოები მოიცავს:
- ხრეშოვანი გრუნტი 300 კუბ.მ.
- არსებული მილების შეკეთება 3 ც.
- ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 370 კბ.მ.
- ფრაქციული ღორღი 1255,6 კბ.მ.
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 15315 მ$^3$.
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 16815 მ$^3$.
- ლითონის მილი დ-500 მმ - 53 გრძ.მ.
- რკინა-ბეტონის მილი დ-1500მმ - 16 გრძ.მ
- მონოლითური რკინა-ბეტონის კიუვეტები - 2100 გრ. მეტრი

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **5 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,2** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **5,3** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,4** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15/55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **29,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **10 მარტის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **10 მარტს 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1.21**
**ქ. ოზურგეთის (გურიის რეგიონი) წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 10 მარტი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი („დამკვეთი“) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***ქ. ოზურგეთის (გურიის რეგიონი) წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების*** განსახორციელებლად („სამუშაოები“).

სამუშაოები მოიცავს:
- წყლის ურდულებიანი და ვანტუზიანი ჭების მოწყობა:
- D=1.0 - 2.0 მ ანაკრები რკ/ბეტონიეს ჭები - 17 კომპლექტი;
- ქალაქის ქსელის რეაბილიტაცია:
- გრუნტის სამუშაოები - 10 850.0 მ3;
- პოლიეთილენის მილის მოწყობა d=25 - 225მმ - 10 700 გრძ.მ;
- ლითონის მილის მოწყობა d=60-426 მმ - 590 გრძ.მ;
- ბალასტი - 2 560 მ3
- ბეტონის სამუშაოები - 105 მ3
- ასფალტის სამუშაოები - 5 820 მ .

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **5 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **1,1** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **5,0** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,4** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15/55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **28,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **10 მარტის 16:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **10 მარტს 16:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

"ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება "ნიუ-იორკ თაიმსის" რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება "24 საათისთვის", ისევე, როგორც ფრანგული "ლე მონდისთვის", ესპანური "ელ პაისისთვის", გერმანული "ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის", ბრიტანული "ობსერვერისთვის" და ა.შ.

"24 საათი" 2009 წლის იანვრიდან არის "ნიუ-იორკ თაიმსის" კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# ფაჩულიამ მთავარი კონკურენტი დაჩრდილა

შაბათ-კვირას NBA-ს რეგულარულ სეზონში "ატლანტა ჰოუქსმა" ორი გასვლითი მატჩი გამართა და ორივეში საკმაოდ კარგად გაისარჯა ზაზა ფაჩულია, რაც შეეხება ალ ჰარფორდს, მას ტრავმამ აშკარად დაასვა დაღი და ზაზა მიცემულ შანსს კარგად იყენებს.

შაბათს გამთენიისას "ატლანტამ" შარლოტში "ბობქეთსი" 102:97 დაამარცხა და ქართველ ცენტრს ორმაგი დუბლის შესრულებამდე 2 მოხსნა დააკლდა. ფაჩულიამ 25 წუთი ითამაშა, 10 ორქულიანი სროლიდან 4 მოათავსა მეტოქის კალათში, რასაც 4 ცდიდან ჩაგდებული 2 საჯარიმოც მოაყოლა და თამაში 10 ქულით დაასრულა. ზაზას ანგარიშზე დაგროვდა 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა.

რაც შეეხება ფაჩულიას კონკურენტ ჰორფორდს, მან 30 წუთში 5 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა გაახერხა.

